

დანართი N1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>2000 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივა წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში:</p> <p>N1. „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი                  ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი                  შ – შეუსაბამო                  ას – არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	N	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1  1.a	<p>ამ დირექტივის მიზანია შიდა ზედაპირული წყლების, გარდამავალი (ტრანზიტული) წყლების, სანაპირო წყლების და გრუნტის წყლების დაცვისათვის ძირითადი საფუძველის (ბაზის) ჩამოყალიბება., რომელიც:</p> <p>არ უშვებს შემდგომ გაუარესებას და იცავს და აუმჯობესებს წყლის (აკვატური) ეკოსისტემების და მათი წყლის საჭიროებიდან გამომდინარე, წყლის ეკოსისტემებზე უშუალოდ დამოკიდებული, წიაღის ეკოსისტემებისა და ჭარბტენიანი ადგილების მდგომარეობას.</p>				ას	„ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების

1.b	ხელს უწყობს წყლის რაციონალურად გამოყენებას ხელმისაწვდომი რესურსების ხანგრძლივი დაცვის საფუძველზე				
1.c	მიზნად ისახავს აკვატური გარემოს ინტენსიურ დაცვასა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, <i>inter alia</i> , სპეციფიური ზომების საშუალებით, რომლებიც მიზნად ისახავენ ძირითადი ნივთიერებების ჩამონადენის, ემისიის და ნამწვს მზარდ შემცირებასა და ძირითადი მავნე ნივთიერებების ჩამონადენის, ემისიისა და ნამწვის თავიდან აცილებასა და ლიკვიდაციას.				
1.d	უზრუნველყოფს გრუნტის წყლების დაბინძურების ინტენსიურ შემცირებას და იცავს მას შემდგომი დაბინძურებისაგან, და				
1.e	<p>წვლილი შეაქვს წყალდიდობითა და გვალვით გამოწვეული ზარალის შემცირებაში (შედეგების ზემოქმედების შერბილებაში)</p> <p>და აქედან გამომდინარე წვლილი შეაქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- კარგი ხარისხის ზედაპირული და გრუნტის წყლის საკმარისი მარაგის უზრუნველყოფაში, რომელიც საჭიროა წყლის რაციონალური, დაბალანსებული და მიუკერძოებელი გამოყენებისათვის,</li> <li>- გრუნტის წყლების დაბინძურების მნიშვნელოვნად შემცირებაში,</li> </ul>				<p>დანართი XXVI (გარემოს დაცვა) ითვალისწინებს საქართველო ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში მოახდინოს დაახლოება 2000 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივასთან წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, 2455/2001/EC გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად.</p> <p>კერძოდ: მდინარის აუზის უბნების განსაზღვრა და ადმინისტრაციული</p>

	<p>- ტერიტორიული და საზღვაო წყლის დაცვაში, და</p> <p>- შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების მიზნების მიღწევაში, მათ შორის იმ ხელშეკრულებებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ, მე-16 მე-3 მუხლში გათვალისწინებულ გაერთიანების ზომის – ძირითადი მავნე ნივთიერებების ჩამონადენების, ემისიისა და ნამწვის შემცირება-ლიკვიდაციისათვის – საშუალებით საზღვაო გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას და აღმოფხვრას, იმ საბოლოო შედეგის მიღებისათვის, რომელიც ითვალისწინებს საზღვაო გარემოში ბუნებრივად წარმოქმნილი ნივთიერებების კონცენტრაციების მიღწევას ახლად-დადგენილი მაჩვენებლების ოდენობით და ადამიანის მიერ წარმოქმნილი სინთეზური ნივთიერებებისათვის კი - ნოლზე დაყვანას.</p>				<p>მექანიზმების დაწესება საერთაშორისო მდინარეების, ტბებისა და სანაპირო წყლებისათვის (მუხლი 3(1)-დან 3(7))-ის ჩათვლით); - მდინარის აუზის უბნების მახასიათებლები ს ანალიზი (მუხლი 5); წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამების ჩამოყალიბება (მუხლი 8); მდინარის აუზის მართვის გეგმების მომზადება, საზოგადოებასთან კონსულტაციები და ამ გეგმების გამოქვეყნება (მუხლი 13 და 14). სავალდებულო მუხლებიდან გამომდინარე შესასრულებლა</p>
--	--	--	--	--	--

					დ სავალდებულოა შემდეგი დანართები: II,III,V, VII.
2	ამ დირექტივის მიზნებისათვის გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი განსაზღვრებები:				ას
2.1	“ზედაპირული წყალი” ნიშნავს შიდა წყლებს გარდა გრუნტის წყლების, გარდამავალი წყლებისა და სანაპირო წყლებისა, თუმცა ქიმიურ მდგომარეობასთან მიმართებით ის შესაძლებელია მოიცავდეს ტერიტორიულ წყლებსაც.				იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
2.2	“გრუნტის წყალი” ნიშნავს წყალს, რომელიც მდებარეობს მიწის ზედაპირის დაბლა, გაჯერებულ ზონაში და უშუალო შეხება აქვს მიწასთან ან ქვენიდაგთან				
2.3	“შიდა წყალი” ნიშნავს მიწის ზედაპირზე დამდგარ ან მომდინარე წყალს და გრუნტის წყალს, რომელიც იმ ძირითადი ზოლის სახმელეთო ნაწილიშია საიდანაც იზომება ტერიტორიალური წყლების სიგანე.				
2.4	“მდინარე” ნიშნავს შიდა წყლის ობიექტს, რომელიც უმეტესად მიწის ზედაპირზე მიედინება, მაგრამ თავისი ციკლის ნაწილში შესაძლებელია მიწისქვეშაც მოედინებოდეს.				

2.5	“ტბა” ნიშნავს დამდგარი შიდა ზედაპირული წყლის ობიექტს					
2.6	“გარდამავალი წყლები” წარმოადგენენ ზედაპირული წყლის ობიექტებს, რომლებიც მდებარეობენ მდინარის შესართავების მიდამოებში, და ხასიათდებიან ნაწილობრივი მარილიანობით გამომდინარე მათი სიახლოვიდან სანაპირო წყლებთან, მაგრამ მნიშვნელოვანწილად მტკნარი წყლის ნაკადების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან.					
2.7	“სანაპირო წყალი” ნიშნავს ზედაპირულ წყლებს იმ ზოლის სანაპირო მხარეს, რომლის თითოეული მონაკვეთი ერთი საზღვაო მილით არის დაშორებული, საზღვაო მხრიდან, იმ ძირითადი ზოლის უახლოესი მონაკვეთიდან, რომლიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების სიგანის გაზომვა და რომელმაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოიცვას გარდამავალი წყლების გარე საზღვარიც კი.					
2.8	“ხელოვნური წყლის ობიექტი” ნიშნავს ადამიანის მიერ შექმნილ ზედაპირული წყლის ობიექტს.					
2.9	“ძლიერად მოდიფიცირებული წყლის ობიექტი” ნიშნავს ზედაპირული წყლის ობიექტს, რომელმაც ადამიანის ქმედებით					

	<p>გამოწვეული ფიზიკური ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა თავისი ბუნება, როგორც ეს აღნიშნულია წევრი სახელმწიფოს მიერ, მე-II დანართის შესაბამისად.</p>				
2.10	<p>“ზედაპირული წყლის ობიექტი” ნიშნავს ზედაპირული წყლის ისეთ განცალკავებულ და მნიშვნელოვან ელემენტს, როგორცაა ტბა, წყალსაცავი, ნაკადული, მდინარე ან არხი, მდინარის, ნაკადულის ან არხის ნაწილი, გარდამავალი წყალი ან სანაპირო წყლის მონაკვეთი.</p>				
2.11	<p>“წყალშემცველი ჰორიზონტი (წყლის შრე)” (აქუიფერ) ნიშნავს ქვე-ზედაპირულ შრეს ან ქანების შრეებს ან სხვა გეოლოგიურ შრეებს (სტრატას), რომლებიც ხასიათდებიან საკმარისი ფორიანობითა და გამტარობის უნარით, რაც საშუალებას აძლევს გრუნტის წყლების დიდი ოდენობით გადინებას ან გრუნტის წყლების დიდი ოდენობის გამოყოფას.</p>				
2.12	<p>“გრუნტის წყლის ობიექტი” ნიშნავს გრუნტის წყლების კონკრეტულ მოცულობას წყლისშემცველ ჰორიზონტში ან ჰორიზონტებში.</p>				
2.13	<p>“მდინარის აუზი” ნიშნავს მიწის იმ მონაკვეთს, რომლიდანაც ყველა ზედაპირული ნაკადი მოედინება მთელი რიგი ნაკადულების, მდინარისა და</p>				

	შესაძლებელია ტბის საშუალებით წყლის კალაპოტის კონკრეტულ მონაკვეთში (ჩვეულებრივ მდინარისა ან ტბის შესართავის ადგილას).				
2.14	“ქვე-აუზი” ნიშნავს მიწის (ხემელეთის) იმ მონაკვეთს, რომლიდანაც ყველა ზედაპირული ნაკადი მოედინება მთელი რიგი ნაკადულების, მდინარისა და შესაძლებელია ტბის საშუალებით წყლის კალაპოტის კონკრეტულ მონაკვეთში (ჩვეულებრივ მდინარისა ან ტბის შესართავის ადგილას).				
2.15	“მდინარის აუზის უბანი” ნიშნავს ერთ ან ერთზე მეტი მონათესავე მდინარის აუზებისაგან, მათთან დაკავშირებული გრუნტის წყლებისა და ზედაპირული წყლებისაგან შემდგარი ხმელეთისა და ზღვის იმ ტერიტორიას, რომელიც გათვალისწინებულია მე-3 მუხლის პირველი პუნქტით - როგორც ძირითადი მონაკვეთი მდინარის აუზების მართვისათვის.				
2.16	“კომპეტენტური ორგანო” ნიშნავს მე-3 მუხლის მე-2 ან მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებულ უფლებამოსილ ორგანოს ან ორგანოებს.				
2.17	“ზედაპირული წყლის სტატუსი (მდგომარეობა) არის ზედაპირული წყლის ობიექტის მდგომარეობა, რომელიც განისაზღვრება მისი ეკოლოგიური ან				

	ქიმიური მდგომარეობიდან (სტატუსიდან) უფრო ცუდის მიხედვით.				
2.18	“ზედაპირული წყლის კარგი მდგომარეობა” ნიშნავს მდგომარეობას, რომელიც მიღწეულია ზედაპირული წყლის ობიექტის მიერ იმ შემთხვევაში თუ მისი ეკოლოგიური მდგომარეობა და ქიმიური მდგომარეობა შეფასებულია სულ ცოტა - როგორც “კარგი“.				
2.19	“გრუნტის წყლის მდგომარეობა” არის გრუნტის წყლის ობიექტის (ტანის) მდგომარეობის გამომხატველი ზოგადი გამოთქმა, რომელიც განისაზღვრება მისი რაოდენობრივი სტატუსისა და ქიმიური სტატუსიდან უფრო ცუდ მდგომარეობაში მყოფი სტატუსის საფუძველზე.				
2.20	“გრუნტის წყლის კარგი სტატუსი (მდგომარეობა) ნიშნავს გრუნტის წყლის ობიექტის მიერ მიღწეულ ისეთ მდგომარეობას, როდესაც მისი რაოდენობრივი და ქიმიური მდგომარეობები მიჩნეულნი არიან სულ ცოტა როგორც - “კარგი“.				
2.21	“ეკოლოგიური სტატუსი” აღნიშნავს V დანართში კლასიფიცირებულ ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული წყლის ეკოსისტემების სტრუქტურისა და ფუნქციონირების ხარისხს.				

2.22	<p>“კარგი ეკოლოგიური სტატუსი” ნიშნავს V დანართის შესაბამისად კლასიფიცირებული ზედაპირული წყლის ობიექტის მდგომარეობას.</p>				
2.23	<p>“კარგი ეკოლოგიური პოტენციალი” ნიშნავს მნიშვნელოვნად მოდიფიცირებულ ან ხელოვნური წყლის ობიექტის მდგომარეობას, რომელიც ამგვარად არის კლასიფიცირებული V დანართის შესაბამისი დებულებების მიხედვით.</p>				
2.24	<p>“ზედაპირული წყლის კარგი ქიმიური მდგომარეობა” ნიშნავს ქიმიურ მდგომარეობას, რომელიც აკმაყოფილებს მე-4 მუხლის პირველი პუნქტის (a) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოსდაცვით მიზნებს ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებით და წარმოადგენს ზედაპირული წყლის ობიექტის მიერ მიღწეულ ისეთ ქიმიურ მდგომარეობას, როდესაც დამაბინძურებელი (მაგნე) ნივთიერებების კონცენტრაციები არ აღემატება IX დანართს მე-16 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტებს და გაერთიანების სხვა შესაბამისი კანონმდებლობით ჩამოყალიბებულ</p>				

	გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტებს ჰაერთიანების დონეზე.				
2.25	“გრუნტის წყლის კარგი ქიმიური სტატუსი” ნიშნავს გრუნტის წყლის ობიექტის ქიმიურ სტატუსს, რომელიც აკმაყოფილებს მე-V დანართის 2.3.2. ცხრილში მოცემულ ყველა პირობას.				
2.26	“რაოდენობრივი სტატუსი” გამოხატავს თუ რა ხარისხით ახდენს გავლენას პირდაპირი და არაპირდაპირი აბსტრაქციები გრუნტის წყლის ობიექტზე.				
2.27	“ხელმისაწვდომი გრუნტის წყლის რესურსები” ნიშნავს ხანგრძლივი დროის მონაკვეთში დინების საშუალო წლიურ სიჩქარეს (ტემპს), რომელიც საჭიროა ეკოლოგიური ხარისხის მიზნების მისაღწევად მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებით, ასეთი წყლების ეკოლოგიური ხარისხის გაუარესების და შესაბამისი წიაღის ეკოსისტემების მნიშვნელოვანი დაზიანების თავიდან აცილებისათვის.				
2.28	“კარგი რაოდენობრივი სტატუსი” წარმოადგენს V დანართის 2.1.2 ცხრილში განსაზღვრულ მდგომარეობას.				
2.29	“მავნე ნივთიერებები” ნიშნავს ტოქსიკურ ნივთიერებებს ან ნივთიერებათა ჯგუფს, რომლებიც ბიოაკტიულაციისაკენ არიან				

	<p>მიდრეკილნი და სხვა ნივთიერებებს და ნივთიერებათა ჯგუფს, რომლებიც შესაბამისი შემფოთების საგანს წარმოადგენენ.</p>				
2.30	<p>“პრიორიტეტული ნივთიერებები” ნიშნავს ნივთიერებებს, რომლებიც განსაზღვრულია მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით და ჩამოთვლილია X დანართში. ამ ნივთიერებებს შორის არიან “პრიორიტეტული მავნე ნივთიერებები”, რომლებიც წარმოადგენენ მე-16 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების მიხედვით იდენტიფიკაცია ნივთიერებებს, რომელთა წინააღმდეგ ზომები მიღებულ უნდა იქნენ მე-16 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების შესაბამისად.</p>				
2.31	<p>“დამაბინძურებელი” ნიშნავს ნებისმიერ ნივთიერებას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დაბინძურება, კერძოდ კი VIII დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებები</p>				
2.32	<p>“პირდაპირი ჩამონადენი გრუნტის წყალში” ნიშნავს გრუნტის წყალში დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩადენას მათი ნიადაგში ან ქვე-ნიადაგში გაწოვის გარეშე</p>				
2.33	<p>“დაბინძურება” ნიშნავს ადამიანის საქმიანობის შედეგად ჰაერში, წყალსა ან მიწაზე ნივთიერებებისა ან სიცხის პირდაპირ ან არაპირდაპირ შეტანას, რასაც</p>				

	შესაძლებელია მავნე ზეგავლენა ჰქონდეს ადამიანის ჯანმრთელობასა და აკვატური ეკოსისტემების ხარისხს ან აკვატურ ეკოსისტემებთან უშუალოდ დაკავშირებული წილის ეკოსისტემებზე, რაც გამოიწვევს მატერიალურ ქონებაზე ზარალის მიყენებას ან გააუარესებს და დააბრკოლებს გარემოსადმი ფაქიზ მოპყრობას და მის კანონიერ გამოყენებას.				
2.34	“გარემოსდაცვითი მიზნები” ნიშნავს მე-4 მუხლში ჩამოყალიბებულ მიზნებს.				
2.35	“გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტები” ნიშნავს წყალში კონკრეტული დამაბინძურებლების, ნალექის და ფლორასა და ფაუნის კონცენტრაციას, რომელიც არ უნდა იყოს გადაჭარბებული ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით.				
2.36	“კომბინირებული მიდგომა” ნიშნავს ზედაპირულ წყლებში ჩამონადენებისა და ემისიების კონტროლს, მე-10 მუხლში მოცემული მიდგომის შესაბამისად.				
2.37	“ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილ წყალს” იგივე მნიშვნელობა აქვს როგორც 80/778/EEC დირექტივით და ასევე 98/83/EC დირექტივით, რომელიც მას ცვლის, არის გათვალისწინებული.				
2.38	“წყალსარგებლობა” ნიშნავს დასახლებული პუნქტებისათვის, საჯარო				

	<p>დაწესებულებებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის გაწეულ ყველა ტიპის მომსახურებას:</p>				
2.38.a	<p>აბსტრაგირებას, წყალსაცავს, შენახვას, გადამუშავებას და ზედაპირული ან გრუნტის წყლების განაწილებას,</p>				
2.38.b	<p>ნარჩენი წყლის, რომელიც საბოლოოდ ჩაედინება ზედაპირულ წყალში, დამგროვებელ და გადამამუშავებელ მოწყობილობებს.</p>				
2.39	<p>“წყლის გამოყენება” ნიშნავს წყლის მომსახურებას მე-5 მუხლითა და II დანართით განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა საქმიანობასთან ერთად, რომელსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს წყლის მდგომარეობაზე.</p> <p>ეს კონცეფცია ვრცელდება პირველი მუხლის მიზნებისათვის და მე-5 მუხლისა და III დანართის (b) პუნქტის შესაბამისად განხორციელებულ ეკონომიკურ ანალიზზე.</p>				
2.40	<p>“ემისიის ზღვრული მოცულობები” ნიშნავს ემისიის სპეციფიურ პარამეტრებში გამოხატულ მასას, კონცენტრაციასა და ხარისხს, რომლის გადაჭარბება არ შეიძლება დროის არცერთ მონაკვეთში. ემისიის ზღვრული მოცულობები შესაძლებელია დადგინდეს ნივთიერებების ზოგიერთი</p>				

2.41	<p>ჯგუფებისათვის, ოჯახისა და კატეგორიებისათვის, განსაკუთრებით კი მე-16 მუხლში განსაზღვრული ნივთიერებებისათვის.</p> <p>ნივთიერებისათვის განსაზღვრული ემისიის ზღვრული მაჩვენებლები ჩვეულებრივ ვრცელდება მოწყობილობა-დანადგარებიდან ემისიის გამოყოფის მომენტზე და მათი განსაზღვრისას აორთქლების ფაქტორი არ მიიღება მხედველობაში. რაც შეეხება წყალში არაპირდაპირი გზით შერევას, შესაძლებელია ნარჩენი წყლის გადამამუშავებელი ქარხნის ზეგავლენის გათვალისწინება გამოყენებული მოწყობილობების ემისიების ზღვრული მოცულობების დადგენისას, მთლიანი გარემოს დაცვისათვის, ემისიის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფით და იმის უზრუნველყოფით, რომ ეს არ გამოიწვევს გარემოს უფრო მეტად დაბინძურებას.</p> <p>“ემისიის კონტროლი” წარმოადგენს კონტროლს, რომელიც ითვალისწინებს ემისიის სპეციფიურ შეზღუდვას - მაგ. ემისიის ზღვრულ მოცულობას ან სხვაგვარად - ის აკონკრეტებს ზეგავლენასთან, ბუნებასა ან ემისიის სხვა მახასიათებლებთან ან საოპერაციო პირობებთან, რომლებიც განაპირობებენ ემისიებს, დაკავშირებულ შეზღუდვებსა და პირობებს. ამ დირექტივაში ტერმინის - “ემისიის კონტროლი” - გამოყენება</p>					
------	--	--	--	--	--	--

	ნებისმიერი სხვა დირექტივის დებულებებთან მიმართებით არცერთ ასპექტში არ უნდა იყოს გაგებული როგორც აღნიშნული დებულებების ხელახალი განმარტება.					
3.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ თავიანთ ეროვნულ ტერიტორიაზე მდებარე ცალკეული მდინარის აუზები და ამ დირექტივის მიზნებისათვის უნდა მიაკუთვნონ ისინი ცალკეული მდინარის აუზის უბნებს. მცირე ზომის მდინარის აუზები შესაძლებელია მიუერთდნენ უფრო მოზრდილი მდინარეების აუზებს, ან მეზობელ მცირე აუზებს ცალკეული მდინარის აუზების შექმნისათვის, სადაც ეს შესაძლებელია. როდესაც გრუნტის წყლები კონკრეტული მდინარის აუზს არ განეკუთვნებიან მთლიანობაში, ისინი უნდა განისაზღვროს და მიეკუთვნოს უახლოეს ან ყველაზე უფრო შესაბამის მდინარის აუზის უბანს. სანაპირო წყლები უნდა განისაზღვროს და მიეკუთვნოს უახლოეს და ყველაზე უფრო შესაფერისი მდინარის აუზის უბანს ან უბნებს.	N1	22.1	მდინარეთა აუზები/სააუზო უბნები განისაზღვრება “მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის დადგენილებით.	სშ	ასოცირების ხელშეკრულები დან გამომდინარე , აღნიშნულ მოთხოვნასთან დაახლოების ვადა იყო 2018 წელი. მოთხოვნის შეუსაბამობა გამომდინარეობს იქედან, რომ კანონქვემდებარე აქტის მიღება მოხდება 2023 წლის 31 დეკემბრამდე, კანონის მიღებიდან გონოვრულ ვადაში.
		N1	37.1.ა	1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:  ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე:  ა.ბ) „მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე“;		
		N1	22.2	მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების განსაზღვრა ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით: ა) ნებისმიერი ზედაპირული წყლის ობიექტი, მიწისქვეშა და სანაპირო წყლები უნდა მიეკუთვნებოდეს მდინარეთა კონკრეტულ აუზს ან სააუზო უბანს; ბ) შესაძლებელია მდინარეთა აუზები, სხვა მდინარეთა აუზებთან ერთად, ერთ სააუზო უბნად განისაზღვროს და ამ		

				<p>მდინარეთა აუზების ძირითადი მდინარეების სახელწოდებებით იწოდებოდეს;</p> <p>გ) მდინარის აუზის ფარგლებში გავრცელებული მიწისქვეშა წყალი მიეკუთვნება აღნიშნულ აუზს;</p> <p>დ) თუ მიწისქვეშა წყლების მდებარეობა ზუსტად არ ემთხვევა მდინარის აუზის მდებარეობას, უნდა მოხდეს მათი იდენტიფიცირება და ასოცირება ყველაზე ახლომდებარე ან ყველაზე შესაფერის აუზთან;</p> <p>ე) სანაპირო წყლების მიკუთვნება ხდება მათთან ყველაზე ახლომდებარე აუზთან.</p>		
3.2	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო ადმინისტრაციული ზომები შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს დადგენის (იდენტიფიცირების) ჩათვლით, მოცემული დირექტივის წესების გამოყენების მიზნით, მათ ტერიტორიაზე მდებარე თითოეული მდინარის აუზის უბანთან მიმართებით.	N1	9.1	წყლის ობიექტები წარმოადგენენ წყლის რესურსების მართვის საბაზო ერთეულებს, რომელთა იდენტიფიკაციას და საზღვრების დადგენას, აგრეთვე მდინარის აუზის/სააუზო უბნის მახასიათებელთა ანალიზს ახორციელებს სამინისტრო.	სშ	
		N1	25.3	სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოები წარმოადგენენ სამინისტროსთან არსებულ სათათბირო ორგანოებს, რომელთა მიზანია შესაბამისი სააუზო უბნის ტერიტორიაზე არსებული წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების მიზნით სახელმწიფო უწყებების და კერძო სუბიექტების თანამშრომლობის უზრუნველყოფა.		
		N1	25.5	სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების		

				შემადგენლობას და საქმიანობის წესს ამტკიცებს მინისტრი.		
3.3	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის მომცველი მდინარის აუზი განეკუთვნოს მდინარის აუზის საერთაშორისო უბანს. მოცემული წევრი სახელმწიფოების მოთხოვნის საფუძველზე, კომისიამ უნდა იმოქმედოს ამ ტიპის მდინარის აუზის საერთაშორისო უბნებისათვის მიკუთვნების საკითხის ხელშეწყობისათვის.</p> <p>თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ადმინისტრაციული ზომების მიღება, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს დაფუძნების ჩათვლით, მოცემული დირექტივის წესების გამოყენებისათვის მის ტერიტორიაზე მდებარე ნებისმიერი მდინარის საერთაშორისო აუზის უბნების მონაკვეთზე.</p>				ას	მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მოთხოვნა არის არარელევანტური
3.4	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მე-4 მუხლით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მიზნებისათვის ამ დირექტივის მოთხოვნებისა და კერძოდ ზომების შესახებ პროგრამების კოორდინირება მდინარის აუზის ყველა უბნისათვის. მდინარის აუზის საერთაშორისო უბნებისათვის, მოცემულმა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ერთად უზრუნველყონ აღნიშნული კოორდინირება და ამ მიზნისათვის შესაძლებელია გამოიყენონ</p>	N1	28.1	<p>წყლის ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა პროგრამები მოიცავენ:</p> <p>ა) დაბინძურების თანმიმდევრულ შემცირებას და ზედაპირულ წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვების შეწყვეტის ღონისძიებებს;</p> <p>ბ) წყლის ობიექტების მიერ მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის ღონისძიებებს;</p> <p>გ) მაღალი სტატუსის ზედაპირული წყლებისა და მაღალი ეკოლოგიური პოტენციალის მქონე ძლიერ სახეშეცვლილი ან წყლის ხელოვნური</p>	ნშ	მუხლის ნაწილი ეხება კომისიის უფლებამოსილებას რაც ჩვენთვის არარელევანტურია

	<p>საერთაშორისო ხელშეკრულებებზე დაფუძნებული არსებული სტრუქტურები. მონაწილე წევრი სახელმწიფოების მოთხოვნის საფუძველზე, კომისიამ უნდა იმოქმედოს ზომების შესახებ პროგრამების ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის.</p>		<p>ობიექტების წყლის სტატუსის შენარჩუნების ღონისძიებებს;</p> <p>დ) მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის შემთხვევაში წყლის სტატუსის შენარჩუნების, ხოლო რიგ შემთხვევებში, მისი მაღალ ეკოლოგიურ სტატუსამდე შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს;</p> <p>ე) ადამიანის საქმიანობით გამოწვეული მიწისქვეშა წყლების დაბინძურების ზრდის ნებისმიერი მნიშვნელოვანი და მდგრადი ტენდენციის აღკვეთის სპეციალურ ღონისძიებებს;</p> <p>ვ) მიწისქვეშა წყლები კარგი რაოდენობრივი და ქიმიური სტატუსის შენარჩუნების ღონისძიებებს;</p> <p>ზ) არსებული წყლის დაცვის მოთხოვნათა განხორციელების ღონისძიებებს;</p> <p>თ) წყლის ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებებს;</p> <p>ი) სასმელი წყლის ხარისხის დაცვის ღონისძიებებს;</p> <p>კ) დაბინძურების წერტილოვანი და დიფუზური წყაროების კონტროლის ღონისძიებებს;</p> <p>ლ) სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მნიშვნელოვანი ზემოქმედების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისაკენ.</p>		
3.5	<p>იმ შემთხვევაში, როდესაც მდინარის აუზის უბანი სცილდება გაერთიანების ტერიტორიას, მონაწილე წევრი სახელმწიფო ან სახელმწიფოები უნდა შეეცადონ შესაბამისი კოორდინირების განხორციელებას შესაბამის არა-წევრ სახელმწიფოებთან ერთად, ამ</p>			ას	<p>დირექტივის მოთხოვნის შესაბამისად „სახელმწიფოები უნდა შეეცადონ შესაბამისი</p>

	<p>დირექტივის მიზნების განხორციელებისათვის მდინარის აუზის მთლიან უბანზე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ამ დირექტივის წესების განხორციელება თავიანთ ტერიტორიაზე.</p>				<p>კოორდინირების განხორციელება“ და არ არის სავალდებულო რაიმე კონკრეტული შედეგის განხორციელება</p> <p>აღნიშნული საკითხი დარეგულირდება მეზობელ სახელმწიფოებთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და განისაზღვრება კოორდინაციის მექანიზმი</p>	
3.6	<p>ამ დირექტივის მიზნებისათვის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააფუძნონ არსებული ეროვნული ან საერთაშორისო ორგანო - როგორც კომპეტენტური ორგანო.</p>	N1	6.1	<p>წყლის რესურსების დაცვისა და წყლის რესურსებით სარგებლობის სფეროში კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ:</p> <p>ა) სამინისტრო;</p> <p>ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;</p> <p>გ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;</p> <p>დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;</p>	ნშ	<p>დირექტივა ამლევს წევრ ქვეყნებს შესაძლებლობას კომპეტენტურ ორგანოდ განისაზღვროს უკვე არსებული ორგანოები და შესაბამისად ამის მიხედვით განისაზღვრა კომპეტენტური ორგანოები</p>

				<p>ე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;</p> <p>ვ) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;</p> <p>ზ) მუნიციპალიტეტები;</p> <p>თ) საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები.</p>		კანონპროექტის მიხედვით
3.7	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დააფუძნონ კომპეტენტური ორგანო 24-ე მუხლით გათვალისწინებული თარიღისათვის.				ას	ამ დირექტივის 24-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოსთვის ეს მოთხოვნა არის არარელევანტური

<p>3.8</p> <p>3.9</p>	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კომისია მათი კომპეტენტური ორგანოების ჩამონათვალით და საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოებით, რომელთა წევრებიც ისინი არიან სულ ცოტა 6 თვის მანძილზე 24-ე მუხლში აღნიშნული თარიღის შემდგომ. თითოეული კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოსათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს I დანართში მოცემული ინფორმაცია.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინონ კომისიას მე-8 მუხლის შესაბამისად მოცემულ ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის თაობაზე ამ ცვლილების ძალაში შესვლამდე 3 თვით ადრე.</p>				<p>ას</p>	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>
<p>4.1</p> <p>4.1.a</p> <p>4.1.a.i</p>	<p>მდინარის აუზებთან დაკავშირებული მართვის გეგმაში დაკონკრეტებული ზომების პროგრამების ამოქმედებისათვის:</p> <p>ზედაპირული წყლებისათვის</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები ზედაპირული წყლის ყველა ობიექტის მდგომარეობის გაუარესების წინააღმდეგ, რომლებიც ექცევა მე-6 და მე-7 პუნქტების მოქმედების სფეროს ქვეშ, მე-8 პუნქტის დარღვევის გარეშე;</p>				<p>ას</p>	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>

4.1.a.ii	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან, გააუმჯობესონ და აღადგინონ ზედაპირული წყლის ყველა ობიექტი, რომელიც ექცევა, ხელოვნური და ძლიერად მოდიფიცირებული წყლის ობიექტებთან დაკავშირებული, (iii) ქვეპუნქტის მოქმედების სფეროში, ამ დირექტივის ძალაში შესვლის შემდეგ არაუმეტეს 15 წელიწადის შემდეგ ზედაპირული წყლის კარგი მდგომარეობის მიღწევისათვის, V დანართში მოცემული დებულებების შესაბამისად, რომლებიც მე-4 პუნქტის შესაბამისად დადგენილი დამატებითი პერიოდების გამოყენების და მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების გამოყენების საგანს წარმოადგენენ, მე-8 პუნქტის დარღვევის გარეშე;</p>				
4.1.a.iii	<p>სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან და გააუმჯობესონ წყლის ხელოვნური და ძლიერად მოდიფიცირებული ყველა ობიექტი კარგი ეკოლოგიური პოტენციალის ზედაპირული წყლის კარგი ქიმიური მდგომარეობის მიღწევის მიზნით, ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს თხუთმეტი წლის შემდეგ, მე-5 მუხლში მოცემული დებულებების შესაბამისად, რომლებიც მე-4 პუნქტის შესაბამისად დადგენილი დამატებითი პერიოდების (გაგრძელების) გამოყენებას და მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების გამოყენებას ექვემდებარებიან, მე-8 პუნქტის დარღვევის გარეშე.</p>				

4.1.a.iv	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საჭირო ზომები მე-16 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების შესაბამისად პრიორიტეტული ნივთიერებებით გამოწვეული დაბინძურების მნიშვნელოვნად შემცირებისათვის და პრიორიტეტული მავნე ნივთიერებების ემისიების, ჩამონადენებისა და დანაკარგის (ან ნამწვის) შემცირების და ლიკვიდაციის მიზნით, მონაწილე მხარეებისათვის პირველ მუხლში მოცემული შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების დაურღვევლად</p>				
4.1.b	<p>გრუნტის წყლებისათვის</p>				
4.1.b.i	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები გრუნტის წყლებში დამაბინძურებლების მოხვედრის შეზღუდვისათვის და გრუნტის წყლის ყველა ობიექტის მდგომარეობის გაუარესების წინააღმდეგ, რომლებიც ექცევა ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების მოქმედების სფეროს ქვეშ, მე-8 პუნქტის დარღვევის გარეშე და ექცევა მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის (j) პუნქტის მოქმედების სფეროში;</p>				
4.1.b.ii	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან, გააუმჯობესონ და აღადგინონ გრუნტის</p>				

<p>4.1.b.iii</p>	<p>წყლის ყველა ობიექტი, და უზრუნველყონ ბალანსი გრუნტის წყლის აბსტრაგირებასა და კვებას შორის, ამ დირექტივის ძალაში შესვლის შემდეგ არაუმეტეს 15 წელიწადის შემდეგ, გრუნტის წყლის კარგი მდგომარეობის მიღწევისათვის, V დანართში მოცემული დებულებების შესაბამისად, რომლებიც მე-4 პუნქტის შესაბამისად დადგენილი დამატებითი პერიოდების გამოყენების და მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების გამოყენების საგანს წარმოადგენენ, მე-8 პუნქტის დარღვევის გარეშე და ექცევა მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის (j) ქვეპუნქტის მოქმედების სფეროში;</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი დამბინძურების კონცენტრაციაში მნიშვნელოვანი მზარდი მიმართულების შეცვლისათვის, გრუნტის წყლის დაბინძურების ეფექტურად შემცირებისათვის მიმართულების საწინააღმდეგოდ შეცვლისათვის საჭირო ზომები.</p> <p>ზომები უნდა მიღებულ იქნას მე-17 მუხლის მე-2, მე- 4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, გაერთიანების შესაბამისი კანონმდებლობის სათანადო სტანდარტების გათვალისწინებით, რომლებიც ექვემდებარება მე-6 და მე-7 პუნქტების გამოყენებას, მე-8 მუხლის დარღვევის გარეშე.</p>					
------------------	--	--	--	--	--	--

4.1.c	<p>დაცული ტერიტორიებისათვის</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიაღწიონ შესაბამისობას ნებისმიერ სტანდარტებსა და მიზნებთან, ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 15 წლის განმავლობაში, თუ კი გაერთიანების კანონმდებლობაში, რომლის შესაბამისადაც შეიქმნა ცალკეული დაცული ტერიტორიები, სხვაგვარად არ არის დაკონკრეტებული.</p> <p>რაც შეეხება მაიოტეს, როგორც უკიდურეს რეგიონს, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 349-ე მუხლის შესაბამისად (შემდგომში 'Mayotte'), (a) პუნქტის (ii) ქვეპუნქტი, (a) პუნქტის (iii) ქვეპუნქტებში აღნიშნული ვადა, (b) პუნქტის (ii) ქვეპუნქტში და (c) პუნქტში უნდა იყოს 2021 წლის 22 დეკემბერი.</p>				
4.2.	<p>როდესაც პირველ პუნქტში მოცემული ერთზე მეტი მიზანი არის დაკავშირებული წყლის მოცემულ ობიექტთან, გამოიყენება ყველაზე მკაცრი სტანდარტი.</p>				
4.3.	<p>წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია მიაკუთვნონ ზედაპირული წყლის ობიექტი ხელოვნურ ან ძლიერად მოდიფიცირებულს, როდესაც:</p>				

4.3.a	იმ ობიექტის ჰიდრომორფოლოგიური თვისებების ცვლილებებს, რომლებიც საჭიროა კარგი ეკოლოგიური სტატუსის მისაღწევად, ექნებათ მავნე ზეგავლენა:					
4.3.a.i	გარემოზე ფართო გაგებით;					
4.3.a.ii	ნავიგაცია, საპორტო ობიექტების ჩათვლით ან დასვენება;					
4.3.iii	სამუშაოებზე, რომლებიც ითვალისწინებს სასმელი წყლის მარაგის დაგროვებას, ენერჯის გენერაციასა და მორწყვას (ირიგაციას);					
4.3.a.iv	წყლის რეგულირებაზე, დაცვაზე წყალდიდობისაგან, მიწის დრენაჟსა, ან					
4.3.a.v	ადამიანის განვითარებისათვის აუცილებელ სხვა ასევე მნიშვნელოვან საქმიანობებზე;					
4.3.b	ხელსაყრელი მიზნები, რომლებსაც ემსახურება წყლის ობიექტის ხელოვნური და მოდიფიცირებული მახასიათებლები ვერ იქნება მიღწეული სხვა საშუალებებით, რომლებიც გაცილებით უკეთეს ვარიანტს არმოადგენენ გარემოს დაცვის თვალსაზრისით, არსებული ტექნიკური პირობებისა და არათანაზომიერი ხარჯების გამო.					

	<p>ამგვარი მითითება და მისი გამომწვევი მიზეზები განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა იყოს აღნიშნული, მე-13 მუხლით მოთხოვნილ, მდინარის აუზის მართვის გეგმაში, რომელიც უნდა განიხილოს ყოველ 6 წელიწადში ერთხელ.</p>				
4.4	<p>პირველი პუნქტით დადგენილი ვადები შეიძლება გაგრძელდეს წყლის ობიექტებისთვის მიზნების ეტაპობრივი მიღწევის მიზნით, იმ პირობით, რომ აღარ მოხდება გაუარესება წყლის დაზარალებული ორგანოს სტატუსში, როდესაც ყველა შემდეგ პირობას აკმაყოფილებს:</p>				
4.4.a	<p>წევრი სახელმწიფოები გადაწყვეტენ, რომ წყლის ობიექტების მდგომარეობისათვის საჭირო ყველა გაუმჯობესება ვერ იქნება მიღწეული იმ ვადებში, რომლებიც მოცემულია აღნიშნულ პუნქტში, გამომდინარე ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან თუნდაც მხოლოდ თითოეულის გამო:</p>				
4.4.a.i	<p>საჭირო გაუმჯობესებების მოცულობა შესაძლებელია მიღწეულ იყოს ფაზებად, რომელთა ხანგრძლივობაც აღემატება მოცემულ ვადებს არსებული ტექნიკური პირობების გამო;</p>				
4.4.a.ii	<p>გაუმჯობესებების მიღწევა მოცემულ ვადებში არათანაზომიერად ძვირი დაჯდება;</p>				

4.4.a.iii	<p>ბუნებრივი პირობები არ იძლევა საშუალებას წყლის ობიექტის მდგომარეობაში დროული გაუმჯობესების მიღწევისა</p>				
4.4.b	<p>ვადის გახანგრძლივების ფაქტორი და მისი მიზეზები დეტალურად არის გათვალისწინებული და ახსნილი მე-13 მუხლში მოცემულ მდინარის აუზის მართვის გეგმაში.</p>				
4.4.c	<p>ვადა უნდა გაგრძელდეს მდინარის აუზის გეგმის მაქსიმუმ შემდგომი ორი განახლების დროით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბუნებრივი პირობები არ იძლევა მიზნების განხორციელების საშუალებას აღნიშნული დროის მონაკვეთში.</p>				
4.4.d	<p>მე-11 მუხლით გათვალისწინებული ზომების რეზიუმე, რომლებიც განიხილება როგორც აუცილებელი ზომები წყლის ობიექტების ეფექტურად და თანდათანობით კარგ მდგომარეობაში მოყვანისათვის გახანგრძლივებული ვადისათვის, ნებისმიერი შეფერხების მიზეზები, რომელთა გამოც ეს ზომები ვერ ამოქმედდება და მათი განხორციელებისათვის გათვალისწინებული განრიგი ჩამოყალიბებულია მდინარის აუზის მართვის გეგმაში. ამ ზომების განხორციელების მიმოხილვა და ნებისმიერი დამატებითი ზომების</p>				

	<p>შეჯამება მოცემული უნდა იყოს მდინარის აუზის მართვის გეგმის განახლებულ ვარიანტში.</p>				
4.5	<p>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ნაკლებად მკაცრი გარემოსდაცვითი მიზნების დასახვა, 1 პუნქტში გათვალისწინებული მიზნებთან შედარებით, წყლის იმ ცალკეული ობიექტებისათვის, რომლებიც იმდენად იმყოფებიან ადამიანის საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ, როგორც ეს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არის დადგენილი, ან მათი ბუნებრივი პირობები ისეთია, რომ აღნიშნული მიზნების მიღწევა შეუძლებელია ან არათანაზომიერად ძვირადღირებული, და როდესაც დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:</p>				
4.5.a	<p>გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების მომსახურება, რომელიც გაწეულია ადამიანის ამ ტიპის საქმიანობით, ვერ იქნება მიღწეული სხვა საშუალებებით, რომლებიც გარემოსდაცვის თვალსაზრისით შესაძლებელია უკეთეს ვარიანტს წარმოადგენდნენ და არ იყვნენ არათანაზომიერი ღირებულებისა.</p>				
4.5.b	<p>წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ზედაპირული წყლებისათვის შეძლებისდაგვარად ყველაზე უფრო მაღალხარისხიანი ეკოლოგიური და</li> </ul>				

	<p>ქიმიური მდგომარეობის მიღწევას, რაც გამოიწვევს ისეთ ზეგავლენას, რომელიც ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული გამომდინარე ადამიანის საქმიანობის ბუნებიდან ან დაბინძირებიდან,</p> <p>- გრუნტის წყლისათვის შემდგომისდაგვარად მცირე ცვლილებებს კარგი გრუნტის წყლის მდგომარეობის მისაღწევად, რაც გამოიწვევს ისეთ ზეგავლენას, რომელიც ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული გამომდინარე ადამიანის საქმიანობის ბუნებიდან ან დაბინძურებიდან.</p>				
4.5.c	დაზიანებული წყლის სტატუსის შემდგომი გაუარესება არ ხდება;				
4.5.d	ნაკლებად მკაცრი გარემოსდაცვითი მიზნების დასახვა და ამის მიზეზები დეტალურად არის მოცემული მე-13 მუხლით გათვალისწინებულ მდინარის აუზის მართვის გეგმაში და ეს მიზეზები ხელახლა განიხილება ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ.				
4.6	წყლის ობიექტების მდგომარეობის დროებითი გაუარესება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ დირექტივის მოთხოვნებს თუ კი იგი განპირობებულია ბუნებრივი მიზეზებით ან ფორს მაჟორული სიტუაციით, რომლებიც გამონაკლისებს წარმოადგენენ და ვერ				

	<p>იქნებოდნენ გათვალისწინებულნი, განსაკუთრებით კი მძლავრი წყალდიდობები და ხანგრძლივი გვალვები, ან გათვალისწინებული უბედური შემთხვევებით გამოწვეული გარემოებები როდესაც დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:</p>				
4. 6.a	<p>მიღებულია ყველა საჭირო ზომა მდგომარეობის შემდგომი გაუარესებისა და სხვა წყლის ობიექტების მიერ, რომლებიც არ ექცევიან აღნიშნული გარემოებების ზემოქმედების ქვეშ, ამ დირექტივის მიზნების განხორციელების საფრთხის ქვეშ დაყენების თავიდან ასაცილებლად;</p>				
4.6.b	<p>ის პირობები, რომელთა საფუძველზეც ეს გარემოებები გამოცხადდება გამონაკლის და გასათვალისწინებლად შეუძლებელ შემთხვევებად, შესაბამისი მაჩვენებლების მიღების ჩათვლით წარმოდგენილი უნდა იყვნენ მდინარის აუზის მართვის გეგმაში;</p>				
4.6.c	<p>ზომები, რომლებიც მიღებულნი უნდა იყვნენ ასეთი გამონაკლისი გარემოებებისას უნდა იყვნენ შეტანილი ზომების პროგრამაში და არ უნდა აყენებდნენ საფრთხის ქვეშ ამ გარემოებების დასრულების შემდგომ წყლის ობიექტის მდგომარეობის ხარისხის აღდგენას;</p>				

4.6.d	<p>გამონაკლისი გარემოებებით ან იმ გარემოებებით, რომელთა გათვალისწინებაც დასაბუთებულად შეუძლებელია გამოწვეული ზეგავლენა ყოველწლიურად უნდა განიხილოს და, მე-4 პუნქტოს (a) ქვეპუნქტში მოცემული მიზეზების შესაბამისად, ყველა პრაქტიკული ზომა უნდა იყოს მიღებული წყლის ობიექტის, ამ გარემოებებით გამოწვეულ ზეგავლენამდე არსებული, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის, როგორც კი ეს პრაქტიკული თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნება, და</p>				
4.6.e	<p>გარემოებებით გამოწვეული ზეგავლენის (a) და (d) ქვეპუნქტების შესაბამისად მიღებული ან მისაღები აღნიშნული ზომების მოკლე მიმოხილვა შეტანილი უნდა იყოს მდინარის აუზის მართვის გეგმის მომდევნო განახლებულ ვარიანტში.</p>				
4.7	<p>წევრი სახელმწიფოები არ იქნებიან წინააღმდეგობაში ამ დირექტივასთან, იმ შემთხვევაში თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მათი წარუმატებლობა გრუნტის წყლის კარგი მდგომარეობის, კარგი ეკოლოგიური მდგომარეობის ან შესაბამისად კარგი ეკოლოგიური პოტენციალის ან ზედაპირული თუ გრუნტის წყლის ობიექტის გაუარესების</li> </ul>				

	<p>შეჩერების მიღწევაში განპირობებულია ზედაპირული წყლის ობიექტის ფიზიკური თვისებების (მახასათებლების) ახალი მოდიფიკაციებისა ან გრუნტის წყლის დონეების ცვალებადობით (დეფორმაციით), ან</p> <p>- წარუმატებლობა, ზედაპირული წყლის ობიექტის უმაღლესი (საუკეთესო) მდგომარეობიდან კარგ მდგომარეობაში გადასვლის შეჩერებაში, განპირობებულია ადამიანის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობით</p> <p>და დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთჩამოთვლილი პირობები:</p>					
4.7.a	<p>ყველა პრაქტიკული ნაბიჯია მიღებული წყლის ობიექტზე მავნე ზეგავლენის შერბილებისათვის;</p>					
4.7.b	<p>აღნიშნული მოდიფიკაციებისა და დეფორმაციის მიზეზები დეტალურად არის წარმოდგენილი და ახსნილი მე-13 მუხლით მოთხოვნილ მდინარის აუზის მართვის გეგმაში და მიზნები განხილულია ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ.</p>					
4.7.c	<p>აღნიშნული მოდიფიკაციები და ცვლილებები პირველადი მნიშვნელობის საზოგადოებრივ ინტერესებშია და/ან</p>					

	<p>სარგებელი, რომელიც მოაქვს ახალ მოდიფიკაციებსა და ცვლილებებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისათვის უფრო პრიორიტეტულია პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნების განხორციელებით გარემოსა და საზოგადოებისათვის მოტანილ სარგებელთან შედარებით, და</p>				
4.7.d	<p>ხელსაყრელი მიზნები, რომლებსაც ემსახურება წყლის ობიექტის აღნიშნული მოდიფიკაციები და ცვლილებები, გამომდინარე არსებული ტექნიკური პირობებიდან და არათანაზომიერი ხარჯებიდან, შეუძლებელია მიღწეულ იყოს სხვა საშუალებებით, რომლებიც გარემოსდაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უკეთეს ვარიანტს წარმოადგენენ.</p>				
4.8	<p>მე-3, მე-4, მე-5, მე-6, და მე-7 პუნქტების გამოყენებისას, წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, ის რომ მათი გამოყენება მუდმივად არ გამორიცხავდეს ან არ უქმნიდეს საფრთხეს ამ დირექტივის მიზნების განხორციელებას, იმავე მდინარის აუზის უბანზე მდებარე სხვა წყლის ობიექტებთან მიმართებაში და შესაბამისობაში იყოს გაერთიანების სხვა</p>				

4.9	<p>გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელებასთან.</p> <p>შესაბამისი ზომები უნდა იყოს მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ახალი დებულებების გამოყენება, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების ჩათვლით, უსაფრთხოების (დაცულობის) იმავე დონის გარანტიას იძლეოდეს, როგორც გაერთიანების არსებული კანონმდებლობა.</p>				
5.1	<p>თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ მის ტერიტორიაზე მდებარე თითოეული მდინარის აუზის უბნისათვის ან მდინარის აუზის საერთაშორისო უბნისათვის უნდა უზრუნველყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მისი მახასიათებლების ანალიზის,</li> <li>- ზედაპირულ წყალზე ან გრუნტის წყალზე ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების მიმოხილვისა, და</li> <li>- წყლის გამოყენების ეკონომიკური ანალიზის განხორციელება,</li> </ul> <p>II და III დანართებში მოცემული ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად და მათი განხორციელების დასრულება არაუგვიანეს ოთხ წელიწადში ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან.</p>	<p>NI</p> <p>NI</p>	<p>9.1</p> <p>24 (1-3)</p>	<p>წყლის ობიექტები წარმოადგენენ წყლის რესურსების მართვის საბაზო ერთეულებს, რომელთა იდენტიფიკაციას და საზღვრების დადგენას, აგრეთვე მდინარის აუზის/სააუზო უბნის მახასიათებელთა ანალიზს ახორციელებს სამინისტრო.</p> <p>1. მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების პროექტების შემუშავებას და საჯარო განხილვის ჩატარებას ორგანიზებას უწევს სამინისტრო.</p> <p>2. მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:</p> <p>ა) მდინარის აუზის/სააუზო უბნის ინტეგრირებული მართვის სააუზო ტერიტორიული ერთეულის მახასიათებლების ანალიზი;</p> <p>ბ) ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის ობიექტების სტატუსზე მნიშვნელოვანი</p>	<p>სშ</p> <p>დასრულდა სამი სააუზო მართვის გეგმის სამუშაო ვერსია და დამტკიცებული იქნება მთავრობის დადგენილებით კანონის მიღების შემდგომ.</p> <p>საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს 2023 წლის 31 დეკემბრამდე „სააუზო მართვის გეგმების</p>

			<p>ანთროპოგენური ზეწოლისა და ზემოქმედების აღწერა; მათ შორის: წერტილოვანი წყაროებიდან დაბინძურების შეფასება, დიფუზური წყაროებიდან დაბინძურების შეფასება, მიწათსარგებლობის სქემის მოკლე აღწერის ჩათვლით, წყლის რაოდენობრივ სტატუსზე ზეწოლის შეფასება, წყალდების შეფასების ჩათვლით, ადამიანის საქმიანობის სხვა ზემოქმედების ანალიზი წყლის სტატუსზე;</p> <p>გ) წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების ზონების ჩამონათვალი და რისკების მართვის პროგრამა;</p> <p>დ) დაცული ზონების საზღვრების ამსახველი რუკა;</p> <p>ე) ეკოლოგიური სტატუსების დადგენის მიზნით შემუშავებული მონიტორინგის ქსელის რუკა, რომელიც ასევე უნდა ასახავდეს იმ მონიტორინგის პროგრამების შედეგებს, რომელთა მიხედვითაც მოხდა სტატუსების დადგენა;</p> <p>ვ) ზედაპირული, მიწისქვეშა და დაცულ ზონებზე არსებული წყლის ობიექტებისათვის დადგენილი გარემოსდაცვითი მიზნების ჩამონათვალი, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი მიზნების დადგენის გამონაკლისების დაშვების შემთხვევებს და მასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას;</p>	<p>შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“;</p>
--	--	--	--	--

			<p>ზ) წყალსარგებლობის ეკონომიკური ანალიზის მოკლე მიმოხილვა;</p> <p>თ) გარემოსდაცვით მიზნების მიღწევის მიზნით დადგენილი ღონისძიებათა პროგრამის მიმოხილვა;</p> <p>ი) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში შემუშავებული იმ სხვა პროგრამებისა და მართვის გეგმების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა, რომელთაც აქვთ გავლენა ან შესაძლოა ქონდეთ გავლენა სააუზო ტერიტორიულ ერთეულში არსებულ წყლის ობიექტზე;</p> <p>კ) ინფორმაცია მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შემუშავების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შესახებ და მათი შედეგების გეგმაში ასახვის შესახებ;</p> <p>ლ) ინფორმაცია მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის ორგანოს და მისი ადგილობრივი წარმომადგენლობის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ და საბაზისო დოკუმენტებისა და ამ დოკუმენტების გამოთხოვის პროცედურა.</p> <p>3. მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის განხორციელების მოქმედებათა/ღონისძიებათა პროგრამა, რომლითაც უნდა განისაზღვროს გეგმის განხორციელების ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური</p>	
--	--	--	---	--

				<p>ასპექტები. მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის ცალკეული ელემენტების შემუშავების მეთოდოლოგიები მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.</p> <p>1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:</p> <p>ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე;</p> <p>ა.დ) „სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“;</p>		
5.2	პირველ პუნქტში აღნიშნული ანალიზები და მიმოხილვები (ანგარიშები) უნდა განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 13 წლის შემდეგ და შემდგომ კი განახლდეს ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ.	N1	23.3	მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმები მტკიცდება 6 წლით და მათი განახლება ხდება ყოველ 6 წელიწადში ერთხელ.	სშ	
6.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თითოეული მდინარის აუზის უბანზე მდებარე ტერიტორიების, რომლებიც გაერთიანების სპეციალური კანონმდებლობით საჭიროებენ საგანგებო დაცვას მათი ზედაპირული და გრუნტის წყლების ან წყალთან უშუალოდ დაკავშირებული ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვისათვის, რეესტრის ან რეესტრების შექმნა. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ რეესტრის შედგენა				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

<p>6.2</p> <p>6.3</p>	<p>დასრულდეს ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ოთხი წლის შემდეგ.</p> <p>რეესტრი ან რეესტრების უნდა მოიცავდნენ მე-7 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ წყლის ყველა ობიექტსა და IV დანართში მოცემულ ყველა დაცულ ტერიტორიას.</p> <p>თითოეული მდინარის აუზის უბნისათვის რეესტრი ან დაცული ტერიტორიების რეესტრები მუდმივ შემოწმებასა და განახლებას უნდა დაექვემდებაროს.</p>					
<p>7.1</p>	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ თითოეული მდინარის აუზის უბანში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- წყლის ყველა ობიექტი, რომელიც გამოიყენება ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის, რომელიც უზრუნველყოფს დღეში საშუალოდ 10 მ<sup>3</sup> ან ემსახურება 50-ზე მეტ კაცს, აბსტრაგირებისათვის, და</li> <li>- წყლის იმ ობიექტებისა, რომელიც მომავალში ამგვარი გამოყენებისათვის იქნება განკუთვნილი.</li> </ul> <p>V დანართის შესაბამისად წევრმა სახელმწიფოებმა მონიტორინგი უნდა გაუკეთონ იმ ობიექტებს, რომლებიც V დანართის მიხედვით უზრუნველყოფენ საშუალოდ დღეში 100 მ<sup>3</sup>.</p>				<p>ას</p>	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>

7.2	<p>პირველ პუნქტში განსაზღვრული წყლის თითოეული ობიექტისათვის, გარდა ამ დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად მე-4 მუხლის მიზნების განხორციელებისა და ზედაპირული წყლებისათვის მე-16 მუხლის მიხედვით გაერთიანების დონეზე დადგენილი ხარისხის სტანდარტების შესაბამისობისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გამოყენებული წყლის გადამამუშავებელი რეჟიმის აშუალებითა და გაერთიანების კანონმდებლობის შესაბამისად, მიღებული წყალი უნდა აკმაყოფილებდეს 80/778/ EEC დირექტივის მოთხოვნებს, რომელსაც ცვლის 98/83/ EEC დირექტივა.</p>					
7.3	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ განსაზღვრული წყლის ობიექტების დაცვა მათი ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად სასმელი წყლის წარმოებაში გამოყენებული რექტიფიკაციის (გაწმენდის) გადამამუშავების დონის შემცირების მიზნით. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ დაცული ზონები წყლის აღნიშნული ობიექტებისათვის. ზედაპირული წყლის მდგომარეობის მონიტორინგი, გრუნტის წყლის მდგომარეობა და დაცული ტერიტორიები.</p>					
8.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამების შემუშავება წყლის მდგომარეობის მონიტორინგისათვის თითოეული</p>	N1	26.11	<p>ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტები განისაზღვრება „ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“</p>	5შ	<p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, ამ</p>

<p>8.2</p>	<p>მდინარის აუზის უბანში წყლის მდგომარეობის შესაბამისი და დეტალური მიმოხილვისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ზედაპირული წყლებისათვის ასეთი პროგრამები უნდა მოიცავდნენ: <ul style="list-style-type: none"> <li>(i) ეკოლოგიური და ქიმიურ მდგომარეობისა და ეკოლოგიური პოტენციალის შესატყვისი დინების მაჩვენებლის მოცულობას და დონეს, და</li> <li>(ii) ეკოლოგიური და ქიმიური მდგომარეობებს და ეკოლოგიურ პოტენციალს;</li> </ul> </li> <li>- გრუნტის წყლებისათვის ამგვარი პროგრამები უნდა მოიცავდნენ - მონიტორინგს და ქიმიურ და რაოდენობრივ მდგომარეობებს,</li> <li>- დაცული ტერიტორიებისათვის ზემოთ აღნიშნული პროგრამები დამატებით უნდა მოიცავდნენ გაერთიანების კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ სპეციფიკაციებს, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა ცალკეული დაცული ტერიტორია.</li> </ul> <p>ეს პროგრამები უნდა ამოქმედდეს ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ექვსი წლის შემდეგ, თუ კი მოცემულ კანონმდებლობაში არ არის სხვანაირად დაკონკრეტებული. ამ ტიპის მონიტორინგ შესაბამისობაში უნდა იყოს V დანართის მოთხოვნებთან.</p>	<p>N1</p>	<p>37.1. ა</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილებით.</p> <p>1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:</p> <p>ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე:</p> <p>ა.ე) „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი“;</p>	<p>დებულებებთან (მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებული) დაახლოვების ვადა არის 2022 წელი.</p> <p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, ამ დებულებებთან (ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული) დაახლოვების ვადა არის 2020 წელი. კანონის მი“ღების შემდეგ იქნება მიღებული, კერძოდ, 2023 წლის 31 დეკემბრამდე, „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი“;</p>
------------	--	-----------	----------------	---	--

8.3	<p>დგინდება ტექნიკური მახასიათებლები და სტანდარტიზებული მეთოდები წყლის სტატუსის ანალიზისა და მონიტორინგისათვის. ის ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს ამ დირექტივის არა არსებითი ელემენტების შეცვლას მისი დამატებით, მიიღება მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული შემოწმების საფუძველზე.</p>					
9.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ წყლის მომსახურების ხარჯების ანაზღაურების პრინციპი, გარემოსდაცვითი და რესურსების ხარჯების ჩათვლით, III დანართის მიხედვით განხორციელებულ ეკონომიკურ ანალიზთან მიმართებით და კერძოდ - დამზინძურებელი იხდის - პრინციპის შესაბამისად.</p> <p>2010 წლისათვის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- რომ წყალზე ფასდადების პოლიტიკა უზრუნველყოფდეს წყალმოსარგებლესათვის შესაბამისი სტიმულის გაჩენას წყლის ეფექტურად მოხმარებისათვის და ამით ხელი შეეწყოს ამ დირექტივის გარემოსდაცვითი მიზნების განხორციელებას,</li> <li>- წყლის სხვადასხვა მოხმარების შესაბამისი შენატანი (კონტრიბუცია) წყლის ხარჯების ანაზღაურებაში, განაწილებული, როგორც მინიმუმ,</li> </ul>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>

	<p>წარმოებაში, საყოფაცხოვრებო მოხმარებასა და სოფლისმეურნეობაში, რომელიც დაფუძნებული იქნება III დანართის მიხედვით წარმოებულ ეკონომიკურ ანალიზზე და გაითვალისწინებს -დამბინძურებელი იხდის – პრინციპს.</p> <p>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ აღნიშნულის განხორციელებისას გაითვალისწინონ ანაზღაურების როგორც სოციალური, გარემოდაცვითი და ეკონომიკური ზეგავლენები, ასევე მოცემული (ზეგავლენის ქვეშ მყოფი) რეგიონებისა ან რეგიონის გეოგრაფიული და კლიმატური პირობები.</p> <p>9.2 წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განაცხადონ მდინარის აუზის უბნის გეგმაში პირველ პუნქტის განხორციელებისათვის დაგეგმილი ზომების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ამ დირექტივის გარემოსდაცვითი მიზნების განხორციელებასა და სხვადასხვა მიზნით წყალსარგებლობისათვის გაკეთებული შენატანების საფუძველზე წყლის მოხმარების ხარჯების ანაზღაურებას.</p> <p>9.3 ამ მუხლით გათვალისწინებული არანაირი დებულებები არ უნდა აფერხებდნენ კონკრეტული (სპეციფიური) აღმკვეთი და პროფილაქტიკური ზომების დაფინანსებას დირექტივის მიზნების მიღწევისათვის.</p>				
--	---	--	--	--	--

9.4	<p>წევრი სახელმწიფოები არ უნდა იყვნენ წინააღმდეგობაში მოცემულ დირექტივასთან თუ კი ისინი, დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, გადაწყვიტავენ არ გამოიყენონ პირველი პუნქტის დებულებების მეორე წინადადება წყლის გამოყენების (წყალსარგებლობასთან) საქმიანობასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ ეს საფრთხის ქვეშ არ აყენებს მოცემული დირექტივის დანიშნულებასა (მრწამსს) და მისი მიზნების მიღწევას. წევრი სახელმწიფოებმა უნდა განაცხადონ პირველი პუნქტის მეორე წინადადების არ გამოყენების მიზეზების შესახებ მდინარის აუზის მართვის გეგმებში.</p>					
10.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ მე-2 პუნქტში აღნიშნული გრუნტის წყლის ყველა ჩამონადენი (ჩამდინარი წყალი) ზედაპირულ წყალში გაკონტროლდეს ამ მუხლში მოცემული კომბინირებული მიდგომის საფუძველზე</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>
10.2	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი საქმიანობების განსაზღვრა და განხორციელება:</p>					
10.2.a	<p>ემისიის კონტროლი არსებული საუკეთესო ტექნოლოგიის საშუალებით, ან</p>					

10.2.b	ემისიის შესაბამისი ზღვრული მოცულობები, ან				
10.2.c	<p>დიფუზიური ზეგავლენის შემთხვევაში - კონტროლი, რომელიც მოიცავს შესაბამის საუკეთესო გარემოსდაცვით პრაქტიკას,</p> <p>რომელიც ჩამოყალიბებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მთლიანი დაბინძურების აღკვეთისა და კონტროლის შესახებ 1996 წლის 24 სექტემბრის 96/61/EC ევროსაბჭოს დირექტივაში,</li> <li>- ურბანული ნარჩენი წყლის გადამუშავების შესახებ 1991 წლის 21 მაისის 91/271/EEC ევროსაბჭოს დირექტივაში,</li> <li>- სასოფლოსამეურნეო წყაროების ნიტრატების დაბინძურებისაგან წყლის დაცვის შესახებ 1991 წლის 12 დეკემბრის 91/676/ EEC ევროსაბჭოს დირექტივაში,</li> <li>- ამ დირექტივის მე-16 მუხლის შესაბამისად მიღებულ დირექტივებში,</li> <li>- IX დანართში ჩამოთვლილ დირექტივებში,</li> <li>- გაერთიანების ნებისმიერ სხვა შესაბამის კანონმდებლობაში</li> </ul>				

10.3	<p>ამ დირექტივის მიღებიდან არაუგვიანეს 12 წლის შემდეგ, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოცემული კანონმდებლობით.</p> <p>იმ შემთხვევაში როდესაც ამ დირექტივის, IX დანართში ჩამოთვლილი დირექტივებისა და ან გაერთიანების სხვა კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი მიზანი ან ხარისხის სტანდარტი საჭიროებს მე-2 პუნქტის გამოყენებიდან გამომდინარე პირობებთან შედარებით უფრო მკაცრ პირობებს - შესაბამისად დადგენილი უნდა იყოს ემისიის უფრო მკაცრი კონტროლი.</p>					
11.1	<p>თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თითოეული მდინარის აუზის უბნისათვის ან მის ტერიტორიაზე მდებარე მდინარის აუზის საერთაშორისო უბნის ნაწილისათვის ზომების პროგრამა, მე-5 მუხლით გათვალისწინებული ანალიზების შედეგების გათვალისწინებით, მე-4 მუხლში მოცემული მიზნების განხორციელებისათვის. ზომების ამგვარი პროგრამები შესაძლებელია ეყრდნობოდეს ეროვნულ დონეზე მიღებული კანონმდებლობით დადგენილ ზომებს და მოიცავდეს წევრი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიას. საჭიროებისამებრ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს მდინარის აუზის ყველა უბნისათვის და/ან მის ტერიტორიაზე განლაგებული მდინარის აუზის</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის უნიშვნა</p>

	საერთაშორისო უზენებისათვის გამოსაყენებელი ზომები.				
11.2	ზომების თითოეული პროგრამა უნდა მოიცავდეს მე-3 პუნქტში დაკონკრეტებულ “ძირითად” ზომებს, და საჭიროების შემთხვევაში ”დამატებით” (დამხმარე) ზომებსაც.				
11.3	“ძირითადი ზომები” წარმოადგენენ მინიმალურ მოთხოვნებს შესაბამისობაში ყოფნისათვის და უნდა მოიცავდნენ:				
11.3.a	წყლის დაცვისათვის გათვალისწინებულ გაერთიანების კანონმდებლობის განხორციელებისათვის საჭირო ზომებს, მე-10 მუხლსა და VI დანართის A ნაწილში დაკონკრეტებული კანონმდებლობით მოთხოვნილი ზომების ჩათვლით;				
11.3.b	ზომებს, რომლებიც შესაბამისად არის მიჩნეული მე-9 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე;				
11.3.c	წყლის ეფექტური და სტაბილური მოხმარებისათვის ხელშემწყობ ზომებს, მე-4 მუხლში დაკონკრეტებული მიზნების მიღწევის საფრთხის ქვეშ დაყენების თავიდან ასაცილებლად.				

11.3.d	<p>მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამის ზომებს, წყლის ხარისხის დაცვისათვის განკუთვნილი ზომების ჩათვლით, სასმელი წყლის წარმოებისათვის საჭირო გამწმენდი გადამუშავების ხარისხის შემცირების მიზნით.</p>					
11.3.e	<p>მტკნარი ზედაპირული წყლისა და გრუნტის წყლის აბსტრაგირებასა და მტკნარი ზედაპირული წყლის ჩაკეტვის (წყალსაცავში მოთავსების) კონტროლი და წინასწარი უფლებამოსილების (ლიცენზირების) მოთხოვნა აბსტრაგირებისა და ჩაკეტვისათვის. აღნიშნული კონტროლი (შემოწმებები) უნდა პერიოდულად განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაათავისუფლონ კონტროლისაგან აბსტრაგირება და ჩაკეტვა, რომელსაც არ გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა წყლის მდგომარეობაზე;</p>					
11.3.f	<p>კონტროლი, გრუნტის წყლის ხელოვნური კეებისა და მომატებისათვის წინასწარი უფლებამოსილების მოთხოვნის ჩათვლით. წყლის გამოყენება შესაძლებელია მომდინარეობდეს ნებისმიერი ზედაპირული და გრუნტის წყლიდან, იმის უზრუნველყოფით რომ აღნიშნული წყაროს გამოყენება საფრთხის ქვეშ არ დააყენებს გრუნტის წყლის მომატებული და ნაკვები ობიექტის წყაროსათვის დადგენილი</p>					

	<p>გარემოსდაცვითი მიზნების განხორციელებას. აღნიშნული კონტროლები პერიოდულად უნდა განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს.</p>				
11.3.g	<p>წერტილოვანი წყაროს ჩამონადენებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ დაბინძურება – წინასწარი რეგულირების მოთხოვნა დამაბინძურებლების წყალში მოხვედრის აკრძალვის თაობაზე ან წინასწარი უფლებამოსილების თაობაზე ან რეგისტრაციისა, რომელიც დაფუძნებული იქნება სავალდებულო წესებზე, რომლებიც ადგენენ მოცემული დამბინძურებლებისათვის ემისიის კონტროლს, მე-10 და მე-16 მუხლების შესაბამისი კონტროლის (შემოწმებების) ჩათვლით. აღნიშნული შემოწმებები პერიოდულად უნდა განიხილოს და საჭიროებისას განახლდეს;</p>				
11.3.h	<p>დაბინძურების გამომწვევი დიფუზიური წყაროებისათვის – დამბინძურებლებით გამოწვეული შედეგების აღმკვეთი ან საკონტროლო ზომები. კონტროლი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს წინასწარი რეგულირების თაობაზე მოთხოვნის სახით, როგორცაა დამბინძურებლების წყალში მოხვედრის აღკვეთა, ზოგად სავალდებულო წესებზე დაფუძნებული წინასწარი</p>				

	<p>უფლებამოსილება ან რეგისტრაცია, იმ შემთხვევაში თუ ამგვარი მოთხოვნა გაერთიანების კანონმდებლობით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული. ამგვარი კონტროლი პერიოდულად შემოწმდება და საჭიროების შემთხვევაში განახლდება.</p>				
11.3.i	<p>მე-5 მუხლსა და II დანართში განსაზღვრულ ნებისმიერ არსებითი მავნე ზეგავლენა წყლის მდგომარეობაზე, კერძოდ კი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის ობიექტების ჰიდრომორფოლოგიური პირობების შესაბამისობას ხელოვნურად ან ძლიერ მოდიფიცირებლად მიჩნეული წყლების ობიექტების მიმართ მოთხოვნილი ეკოლოგიური სტატუსისა და კარგი ეკოლოგიური პოტენციალის მიღწევას. ამ მიზნით განხორციელებული შემოწმებები შესაძლებელია წარმოდგენილი იყვნენ სავალდებულო წესებზე დაფუძნებული წინასწარი უფლებამოსილებისა ან რეგისტრაციის მოთხოვნის სახით თუ კი ამგვარი მოთხოვნა სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული გაერთიანების კანონმდებლობით. ამგვარი შემოწმებები პერიოდულად განიხილება და საჭიროების შემთხვევაში განახლდება.</p>				
11.3.j	<p>გრუნტის წყალში დამბინძურებლების პირდაპირი ჩამონადენების აკრძალვა ექვემდებარება შემდეგ დებულებებს:</p>				

	<p>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ნებართვის გაცემა გეოთერმული მიზნებისათვის გამოყენებული წყლის ხელახალ ჩაშვებაზე იმავე წყალშემცველ ჰორიზონტში.</p> <p>მათ ასევე შეუძლიათ ნებართვის გაცემა შემდეგი პირობების დაკონკრეტებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საკვლევაძიებო, ჰიდროკარბონატების ამოღებისა და სამთო საქმიანობების შედეგად წარმოქმნილი ნივთიერებების შემცველი წყლის ჩაშვება და ტექნიკური მიზნით წყლის ჩაშვება იმ გეოლოგიურ მინაკუთვანებში რომლებიდანაც ამოღებულ იქნა ჰიდროკარბონატები ან სხვა ნივთიერებები ან იმ გეოლოგიურ მინაკუთვანებში (ფორმაციებში) რომლებიც ბუნებრივი მიზეზების გამო არახელსაყრელი არიან სხვა მიზნებისათვის. ამგვარი ჩაშვებები არ უნდა მოიცავდეს სხვა ნივთიერებებს, გარდა ზემოთ აღნიშნული საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნივთიერებებისა,</li> <li>- მალარობიდან და კარიერებიდან ამოქაჩული ან სამოქალაქო საინჟინრო საქმიანობასთან დაკავშირებული გრუნტის წყლის ხელახალი ჩაშვება,</li> <li>- ბუნებრივი ან თხევადი პეტროლეუმ გაზი (LPG) გეოლოგიურ ფორმაციებში შენახვის მიზნებისათვის, რომლებიც</li> </ul>				
--	---	--	--	--	--

<p>ბუნებრივი მიზეზებით არასოდეს არ არიან გამოსადეგი სხვა მიზნებისათვის,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ნახშირბადის დიოქსიდის ნაკადების ინექცია გეოლოგიურ წარმონაქმნებში რომლებიც ბუნებრივი მიზეზების გამო მუდმივად შეუსაბამოა სხვა მიზნებისათვის, იმ პირობით, რომ ასეთი ინექცია მზადდება დირექტივის შესაბამისად 2009/31/EC ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 23 აპრილისა ნახშირორჟანგის გეოლოგიური შენახვის შესახებ ან გამოირიცხა ამ დირექტივის ფარგლები მისი მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,</li> <li>- სხვა გეოლოგიურ ფორმაციებში დასაწყობების მიზნით ბუნებრივი ან თხევადი გაზის (LPG) ჩაშვება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გაზით მომარაგების უსაფრთხოების პირველადი მოთხოვნა და როდესაც ჩაშვებისას თავიდან იქნება აცილებული არსებული და სამომავლო საფრთხე გრუნტის წყლის არსებული ხარისხის გაუარესებისა,</li> <li>- მშენებლობა, სამოქალაქო სამშენებლო ტექნიკა, სამშენებლო სამუშაოები და სხვა მსგავსი სამუშაოები გრუნტის წყლებთან დაკავშირებულ მიწაზე ამ მიწაში. ამ მიზნებისათვის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ამგვარი სამუშაოების ნებადართულად მიჩნევის შესაძლებლობის თაობაზე, იმის</li> </ul>				
--	--	--	--	--

<p>11.3.k</p>	<p>უზრუნველყოფით, რომ ისინი განხორციელდება წევრი სახელმწიფოს მიერ მსგავსი საქმიანობისათვის დადგენილი ზოგადი სავალდებულო წესების შესაბამისად.</p> <p>- სამეცნიერო მიზნებისათვის მცირე რაოდენობის ნივთიერებების ჩაშვება, წყლის მახასიათებლების განსაზღვრის, წლის დაცვის ან ხარისხის მამოსწორებისათვის, დასაშვებია მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა მიზნის მისაღწევად.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გამონადენი არ შეაფერხებს მიწისქვეშა წყლების ამ ორგანოსთვის დადგენილ გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას;</p> <p>მე-16 მუხლის შესაბამისად გათვალისწინებულია: ზედაპირული წყლის დაბინძურების ლიკვიდაციისათვის საჭირო ზომები, რომლებიც განხორციელდება მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით შეთანხმებული პრიორიტეტული ნივთიერებების ჩამონათვალში მოცემული ნივთიერებების საშუალებით და სხვა ნივთიერებების საშუალებით დაბინძურების ეფექტური შემცირებისათვის, რომელთა არ გამოყენების შემთხვევაში წევრი სახელმწიფოები ვერ განახორციელებენ მე-</p>					
---------------	---	--	--	--	--	--

11.3.1	<p>4 მუხლით ზედაპირული წყლებისათვის დადგენილ მიზნებს;</p> <p>ნებისმიერი ზომები, რომლებიც საჭიროა ტექნიკური მოწყობილობა-დანადგარებიდან მნიშვნელოვანი ნამწვის (დანაკარგების) გამოყოფის თავიდან აცილებისათვის და შემთხვევითი დაბინძურების ინციდენტების ზეგავლენის შემცირებისათვის, რომლებიც მაგ. შესაძლებელია გამოწვეულნი იყვნენ წყალდიდობებით, ამგვარი მოვლენების წინასწარი გამოძიებისა და მათ შესახებ წინასწარი გაფრთხილების სისტემების გზით, და იმ უბედური შემთხვევებისას, რომელთა გათვალისწინებაც წინასწარ შეუძლებელია ყველა შესაბამისი ზომების გათვალისწინებით, რომლებიც საჭიროა წყლის ეკოსისტემებისათვის არსებული საფრთხის შესამცირებლად</p>					
11.4	<p>“დამატებითი (დამხმარე) ზომები” წარმოადგენენ ძირითადი ზომების დამატებით შედგენილ და განხორციელებულ ზომებს, მე-4 მუხლის შესაბამისად დადგენილი მიზნების მიღწევისათვის. VI დანართის B ნაწილში მოცემულია ამგვარი ზომების არასრული სია.</p> <p>წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ მიიღონ შემდგომი დამატებითი</p>					

11.5	<p>(დამხმარე) ზომები ამ დირექტივით გათვალისწინებული წყლის დამატებითი დაცვისა და მდგომარეობის გამოსწორებისათვის, პირველი მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებების განხორციელების ჩათვლით.</p> <p>იმ შემთხვევაში, როდესაც მონიტორინგი ან სხვა მონაცემები მიუთითებენ იმის თაობაზე, რომ მე-4 მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება სათუთა წყლის ობიექტისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- შესაძლო წარუმატებლობის შემთხვევების გამოკვლევა,</li> <li>- შესაბამისი ნებართვებისა და უფლებამოსილებების (ლიცენზიების) სათანადო შემოწმება და განხილვა,</li> <li>- მონიტორინგის პროგრამების სათანადო განხილვა და წესრიგში მოყვანა, და</li> <li>- შესაძლო საჭირო დამატებითი ზომებით დადგენილი მიზნების მიღწევისათვის უფრო მკაცრი გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტების შემუშავება, V დანართში მოცემული პროცედურის მიხედვით.</li> </ul> <p>იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული მიზეზები გამომდინარეობენ ბუნებრივი გარემოებებიდან ან ფორს მაჟორიდან და გამონაკლისებს წარმოადგენენ და მათი</p>				
------	--	--	--	--	--

	<p>წინასწარ დასაბუთებულად გათვალისწინება შეუძლებელია, კერძოდ კი მძლავრი წყალდიდობები, ხანგრძლივი გვალვები, წევრ სახელმწიფოს მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად შეუძლია უსარგებლოდ მიიჩნიოს დამატებითი ზომების მიღება</p>				
11.6	<p>მე-3 პუნქტის თანახმად ზომების განხორციელებისას წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან სათანადო ნაბიჯები, რომ არ გაიზარდოს საზღვაო წყლების დაბინძურება. არსებული კანონმდებლობის დარღვევის გარეშე, მე-3 პუნქტის თანახმად მიღებული ზომები არანაირი პირდაპირი ან არაპირდაპირი მიზეზით არ უნდა იწვევდნენ ზედაპირული წყლის დაბინძურების გაზრდას. ეს მოთხოვნა არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაში თუ მას მოყვება გარემოს მთლიანი დაბინძურება.</p>				
11.7	<p>ზომების პროგრამები უნდა დადგინდეს ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 9 წლის შემდეგ და ყველა აღნიშნული ზომა უნდა ამოქმედდეს ამ თარიღიდან არაუგვიანეს 12 წლის შემდეგ.</p> <p>რაც შეეხება მაიოტეს, პირველ ქვეპუნქტში მითითებული ვადებს უნდა იყოს, შესაბამისად, 2015 წლის 22 დეკემბერი და 2018 წლის 22 დეკემბერი.</p>				

11.8	<p>ზომების პროგრამა უნდა განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს მოცემული დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 15 წლის შემდეგ და შემდგომში ყოველ 6 წელიწადში. ნებისმიერი ახალი ან შესწორებული ზომები რომლებიც დადგინდება განახლებული პროგრამით უნდა ამოქმედდეს მათი დადგინდა სამი წლის განმავლობაში.</p> <p>რაც შეეხება მაიოტს, პირველ ქვეპუნქტში აღნიშნული ვადაა 2021 წლის 22 დეკემბერი.</p>					
12.1	<p>იმ შემთხვევაში, როდესაც წევრი სახელმწიფო განსაზღვრავს მის წყლებზე ზეგავლენის მქონე საკითხს, მაგრამ თავად არ შეუძლია მისი გადაწყვეტა მას შეუძლია ამ საკითხის შესახებ აცნობოს კომისიას ან ნებისმიერ სხვა მოცემულ წევრ სახელმწიფოს და წარმოადგინოს რეკომენდაციები ამ საკითხის გადაწყვეტისათვის.</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>
12.2	<p>კომისიამ უნდა უპასუხოს წევრი სახელმწიფოების შეტყობინებასა ან რეკომენდაციებს 6 თვის განმავლობაში.</p>					
13.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავება მთლიანად მათ ტერიტორიაზე მდებარე თითოეული მდინარის აუზის უბნისათვის.</p>	N1	24.1	<p>მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების პროექტების შემუშავებას და საჯარო განხილვის ჩატარებას ორგანიზებას უწევს სამინისტრო.</p>	სშ	<p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან</p>

13.2	<p>მდინარის აუზის საერთაშორისო უზნის შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კოორდინირება მდინარის აუზის საერთაშორისო უზნისათვის ერთიანი მართვის გეგმის შემუშავების მიზნით. იმ შემთხვევაში თუ მდინარის აუზის საერთაშორისო უზნისათვის ამგვარი მართვის გეგმა არ შემუშავდება წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ მდინარის აუზის მართვის გეგმები, რომლებიც მოიცავენ მდინარის აუზის საერთაშორისო უზნის იმ ნაწილებს მაინც, რომლებიც მათ ტერიტორიაზე განლაგებული ამ დირექტივის მიზნების განხორციელებისათვის.</p>	N1	23.2	<p>მდინარეთა აუზების/სააუზო უზნების მართვის გეგმებს, სამინისტროს წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.</p>	დაახლოვების ვადა არის 2024 წელი.
13.3	<p>მდინარის აუზის ისეთი საერთაშორისო უზნის შემთხვევაში, რომელიც ცილდება გაერთიანების საზღვრებს, წევრმა სახელმწიფოები უნდა შეეცადონ მდინარის აუზის ერთიანი მართვის გეგმის შემუშავებას და შესაძლებლობის შემთხვევაში გეგმა უნდა მოიცავდეს მდინარის აუზის საერთაშორისო უზნის იმ მონაკვეთებს მაინც, რომლებიც მოცემული წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მდებარეობენ.</p>	N1	3.6	<p>ტრანსსასაზღვრო წყლების სააუზო უზნების, ტბებისა და სანაპირო წყლების საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნაწილთან მიმართებით მოქმედებს ეს კანონი, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.</p>	<p>აღნიშნული საკითხი დარეგულირდება მეზობელ სახელმწიფოებთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და განისაზღვრება კოორდინაციის მექანიზმი</p>
13.4	<p>მდინარის აუზის მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს VII დანართში დაკონკრეტებულ ინფორმაციას.</p>	N1	24.2	<p>მდინარის აუზის/სააუზო უზნის მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:  ა) მდინარის აუზის/სააუზო უზნის ინტეგრირებული მართვის სააუზო</p>	<p>ნშ  ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ</p>

			<p>ტერიტორიული ერთეულის მახასიათებლების ანალიზი;</p> <p>ბ) ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის ობიექტების სტატუსზე მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ზეწოლისა და ზემოქმედების აღწერა; მათ შორის: წერტილოვანი წყაროებიდან დაბინძურების შეფასება, დიფუზური წყაროებიდან დაბინძურების შეფასება, მიწათსარგებლობის სქემის მოკლე აღწერის ჩათვლით, წყლის რაოდენობრივ სტატუსზე ზეწოლის შეფასება, წყალდების შეფასების ჩათვლით, ადამიანის საქმიანობის სხვა ზემოქმედების ანალიზი წყლის სტატუსზე;</p> <p>გ) წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების ზონების ჩამონათვალი და რისკების მართვის პროგრამა;</p> <p>დ) დაცული ზონების საზღვრების ამსახველი რუკა;</p> <p>ე) ეკოლოგიური სტატუსების დადგენის მიზნით შემუშავებული მონიტორინგის ქსელის რუკა, რომელიც ასევე უნდა ასახავდეს იმ მონიტორინგის პროგრამების შედეგებს, რომელთა მიხედვითაც მოხდა სტატუსების დადგენა;</p> <p>ვ) ზედაპირული, მიწისქვეშა და დაცულ ზონებზე არსებული წყლის ობიექტებისათვის დადგენილი გარემოსდაცვითი მიზნების ჩამონათვალი, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი მიზნების დადგენის</p>	<p>მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2024 წელი.</p>
--	--	--	--	---

		N1	37.1.ა	<p>გამონაკლისების დაშვების შემთხვევებს და მასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას;</p> <p>ზ) წყალსარგებლობის ეკონომიკური ანალიზის მოკლე მიმოხილვა;</p> <p>თ) გარემოსდაცვით მიზნების მიღწევის მიზნით დადგენილი ღონისძიებათა პროგრამის მიმოხილვა;</p> <p>ი) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში შემუშავებული იმ სხვა პროგრამებისა და მართვის გეგმების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა, რომელთაც აქვთ გავლენა ან შესაძლოა ქონდეთ გავლენა სააუზო ტერიტორიულ ერთეულში არსებულ წყლის ობიექტზე;</p> <p>კ) ინფორმაცია მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შემუშავების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შესახებ და მათი შედეგების გეგმაში ასახვის შესახებ;</p> <p>ლ) ინფორმაცია მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის ორგანოს და მისი ადგილობრივი წარმომადგენლობის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ და საბაზისო დოკუმენტებისა და ამ დოკუმენტების გამოთხოვის პროცედურა.</p>	<p>1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:</p>
--	--	----	--------	--	---

				ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე: ა.დ) „სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“;		
13.5	მდინარის აუზის მართვის გეგმებს შესაძლებელია დაემატოს უფრო დეტალური პროგრამებისა და ქვეაუზებთან, უბნებთან, მდინარის შესართავებთან და წყლის ტიპთან დაკავშირებული მართვის გეგმები, წყლის მართვის კონკრეტული ასპექტების მართვისათვის. აღნიშნული ზომების განხორციელება არ ანთავისუფლებს წევრ სახელმწიფოებს ამ დირექტივით დაკისრებული სხვა ვალდებულებებისაგან.				ას	მუხლი ითვალისწინებს დეტალური პროგრამების და მართვის გეგმების დამატების შესაძლებლობას და არა ვალდებულებას.
13.6	მდინარის აუზის მართვის გეგმები უნდა გამოქვეყნდეს ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 9 წლის შემდეგ.  რაც შეეხება მაიოტეს, პირველ ქვეპუნქტში აღნიშნული ვადაა 2015 წლის 22 დეკემბერი.	N1	25.6	სამინისტრო უზრუნველყოფს მდინარის აუზთან/სააუზო უბანთან დაკავშირებით ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნებას, მოსაზრებების მიღების მიზნით მისი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.	ნშ	ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2024 წელი.  პუნქტის მეორე აბზაცი შინაარსიდან გამომდინარე არარელევანტურია საქართველოსთვის

13.7	<p>მდინარის აუზის მართვის გეგმები უნდა განიხილოს და განახლდეს ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 15 წლის შემდეგ და შემდგომ ყოველ 6 წელიწადში ერთხელ.</p> <p>რაც შეეხება მაიოტს, პირველ ქვეპუნქტში აღნიშნული ვადაა 2021 წლის 22 დეკემბერი.</p>	N1	23.3	<p>მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმები მტკიცდება 6 წლით და მათი განახლება ხდება ყოველ 6 წელიწადში ერთხელ.</p>	სშ	<p>პუნქტის მეორე აბზაცი შინაარსიდან გამომდინარე არარელევანტურია საქართველოსთვის</p>
14.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ყველა დაინტერესებული მხარის ჩაბმას ამ დირექტივის განხორციელებაში, კერძოდ მდინარის აუზის მართვის გეგმის წარმოებაში, განხილვასა და განახლებაში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, თითოეული მდინარის აუზის რაიონისთვის, ისინი აქვეყნებენ და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომის ხდიან კომენტარებისთვის, მომხმარებლების ჩათვლით:</p>	N1	25.7	<p>სამინისტრო ვალდებულია:</p> <p>ა) ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, გამოაქვეყნოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <p>ა.ა) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შექმნისთვის, განახლებისთვის საჭირო განრიგი და სამუშაო პროგრამა, იმ საკითხების მითითებით, რომლებზეც გაიმართება საჯარო განხილვა;</p> <p>ა.ბ) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის პროექტის საჯარო განხილვის წესი და მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის პროექტი.</p> <p>ბ) უზრუნველყოს:</p> <p>ბ.ა) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის პროექტის შემუშავებისას გამოყენებული ძირითადი დოკუმენტების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (მოთხოვნის საფუძველზე);</p> <p>ბ.ბ) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის პროექტის საჯარო განხილვის მოწყობა.</p>	სშ	

14.1.a	გეგმის შექმნისათვის საჭირო განრიგი და სამუშაო პროგრამა, მისაღები საკონსულტაციო ზომების შესახებ განაცხადის ჩათვლით დადგენილი უნდა იყოს სულ ცოტა სამი წლით ადრე ვიდრე დაიწყება ის პერიოდი, რომელსაც ეხება გეგმა;	N1	37.1.ა.	1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება: ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე: ა.დ) „სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“;	5შ	ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2024 წელი.
14.1.b	მდინარის აუზში გამოვლენილი წყლის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შუალედური მიმოხილვა - სულ ცოტა ორი წლით ადრე გეგმით გათვალისწინებული პერიოდის დაწყებამდე;					
14.1.c	მდინარის აუზის მართვის გეგმის პროექტის ასლები - ერთი წლით ადრე გეგმით გათვალისწინებული პერიოდის დაწყებამდე.  მოთხოვნის საფუძველზე, მდინარის აუზის მართვის პროექტის ჩამოყალიბებისას გამოყენებული ძირითადი დოკუმენტების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დაშვებული იქნება.					
14.2	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დართონ ნება წერილობითი ფორმით კომენტარების გაკეთებაზე და ამ დოკუმენტების ხელმისაწვდომობაზე არა ნაკლებ 6 თვის განმავლობაში რათა უზრუნველყოფილ					

14.3	<p>იქნას ამ პროცესში მონაწილეობა და კონსულტაციები.</p> <p>1 და მე-2 პუნქტები ასევე უნდა ვრცელდებოდეს მდინარის აუზის მართვის განახლებული გეგმის ვარიანტზეც.</p>					
15.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაუზიარონ მდინარის აუზის მართვის გეგმები და მათი შესაბამისი განახლებული ვარიანტები კომისიასა და ნებისმიერ სხვა მოცემულ წევრ სახელმწიფოს, მათი გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში:</p> <p>15.1.a მდინარის აუზის იმ უბნებისათვის, რომლებიც მთლიანად წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არიან განლაგებულნი, ან მდინარის აუზის მართვის გეგმები, რომლებიც მოიცავენ ეროვნულ ტერიტორიას და მე-13 მუხლის შესაბამისად არიან გამოქვეყნებული.</p> <p>15.1.b მდინარის აუზის საერთაშორისო უბნებისათვის, მდინარის აუზის მართვის გეგმის ის ნაწილი მაინც, რომელიც მოიცავს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიას.</p> <p>15.2 წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წარმოადგინონ შემაჯამებელი ანგარიშები:</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის უნიშვნა</p>

15.3	<p>- მე-5 მუხლით მოთხოვნილი ანალიზისა, და</p> <p>- მე-8 მუხლის მიხედვით შედგენილი მონიტორინგის პროგრამის ჩათვლით,</p> <p>რომლებიც ხორციელდება მდინარის აუზის მართვის პირველი გეგმისათვის მისი დადგენის შემდეგ სამი თვის განმავლობაში.</p> <p>მე-13 მუხლით გათვალისწინებული თითოეული მდინარის აუზის მართვის გეგმის ან მისი განახლებული ვარიანტის გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წარადგინონ შუალედური ანგარიშები, რომლებშიც აღწერილი უნდა იყოს დაგეგმილი ზომების პროგრამის განხორციელების პროგრესი.</p>					
16.1	<p>ევროპარლამენტმა და საბჭომ უნდა მიიღოს სპეციფიური ზომები ცალკეული დამბინძურებლებისა ან დამბინძურებლების ჯგუფის მიერ, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს (რისკს) უქმნიან აკვატურ გარემოს ან მისი საშუალებით ქმნიან ამ საფრთხეს, სასმელი წყლის აბსტრაგირებისათვის გამოყენებული წყლისათვის აღნიშნული რისკის ჩათვლით, წყლის დაბინძურების წინააღმდეგ. აღნიშნული დამბინძურებლების წინააღმდეგ მიღებული ზომები მიზნად უნდა</p>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

	<p>ისახავდნენ მათ მნიშვნელოვანწილად შემცირებას, პრიორიტეტული მავნე ნივთიერებებთან დაკავშირებით, როგორც მე-2 მუხლის (30) პუნქტშია განსაზღვრული, მათი ჩამონაკადების (ჩაშვების), ემისიებისა და დანაკარგების (ნამწვის) შეწყვეტასა და შემცირებას. ამგვარი ზომები მიღებული უნდა იყვნენ კომისიის მიერ, ხელშეკრულებაში მოცემული პროცედურების შესაბამისად, წარმოდგენილ წინადადებებზე დაყრდნობით.</p>				
16.2	<p>კომისიამ უნდა წარმოადგინოს წინადადება, რომელშიც მოცემული იქნება იმ ნივთიერებებს შორის ამორჩეული პრიორიტეტული ნივთიერებების სია, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან აკვატურ გარემოს ან მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნიან ამ გარემოს საშუალებით. ნივთიერებები პრიორიტეტულად იქნებიან მიჩნეულნი მათ წინააღმდეგ ზომების მისაღებად გამომდინარე იმ რისკისა, რომელსაც ისინი უქმნიან აკვატურ სისტემას ან ქმნიან აკვატური სისტემის საშუალებით და რომელიც განსაზღვრულია:</p>				
16.2.a	<p>(EEC) N793/93 საბჭოს რეგულაციით, 91/414/EEc საბჭოს დირექტივით და ევროპარლამენტისა და საბჭოს 98/8/EEC დირექტივით გათვალისწინებული რისკის შეფასების საფუძვლებზე, ან</p>				

<p>16.2.b</p>	<p>მიზანმიმართულ (კონკრეტული) რისკზე-დაფუძნებული შეფასება ((EEC) N793/93 რეგულაციის მეთოდოლოგიის თანახმად), რეგლამენტის მეთოდოლოგიის მიხედვით) რომელიც ფოკუსირებულია მხოლოდ აკვატურ ეკოტოქსიკურობასა და აკვატური გარემოს ზეგავლენით ადამიანის ტოქსიკურობაზე.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში, მე-4 პუნქტში მოცემულ განრიგთან შესაბამისობისათვის უნდა დადგინდეს პრიორიტეტული ნივთიერებები მათ წინააღმდეგ ზომების მისაღებად გამარტივებულ, რისკზე-დაფუძნებული, პროცედურით, განსაზღვრული აკვატური გარემოსადმი რისკისა ან ამ გარემოს საშუალებით არსებული რისკის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა მეცნიერულ პრინციპებს, განსაკუთრებით ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მოცემული ნივთიერების დამახასიათებელი მავნე ზეგავლენის მტკიცებულება და განსაკუთრებით აკვატური ეკოტოქსიკურობა და ადამიანის ტოქსიკურობა აკვატური გარემოს (აქუატიც ეხპოსურე როუტეს)ზეგავლენით, და</li> <li>- ფართოდგავრცელებული გარემოს დაბინძურების მონიტორინგის მტკიცებულებები, და</li> </ul>					
---------------	--	--	--	--	--	--

	<p>- სხვა დამტკიცებული ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა მიუთითონ ფართოდგავრცელებული გარემოს კონტამინაციის შესაძლებლობებზე, როგორებიცაა მოცემული ნივთიერების წარმოებისა და გამოყენების მოცულობა და გამოყენების მაგალითები.</p>				
16.3	<p>კომისიის წინადადებაში ასევე უნდა განისაზღვროს პრიორიტეტული მავნე ნივთიერებები. ზემოაღნიშნულის განხორციელებით კომისიამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ნივთიერებების შერჩევა, რომელიც განხორციელებულია მავნე ნივთიერებებთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობით ან შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით.</p>				
16.4	<p>კომისიამ უნდა განიხილოს პრიორიტეტული ნივთიერებების მიღებული სია ამ დირექტივის მიღებიდან არაუგვიანეს ოთხი წლის შემდეგ და ამის შემდგომ სულ ცოტა ექვს წელიწადში ერთხელ და შესაბამისად წარმოადგინოს თავისი წინადადებები.</p>				
16.5	<p>წინადადებების მომზადებისას კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ტოქსიკოლოგიის, ეკოტოქსიკოლოგიისა და გარემოდაცვის სამეცნიერო კომიტეტის, წევრი სახელმწიფოების, ევროპარლამენტის,</p>				

16.6	<p>ევროპის გარემოსდაცვის სააგენტოს, გაერთიანების კვლევითი პროგრამების, საერთაშორისო ორგანიზაციების, რომელთა პარტნიორსაც ის წარმოადგენს, ბიზნესის ევროპული ორგანიზაციების, მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლების ჩათვლით, ევროპის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების რეკომენდაციები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც მის საყურადღებოდ არის წარმოდგენილი.</p> <p>პრიორიტეტული ნივთიერებისათვის კომისიამ უნდა წარადგინოს წინადადებები ქვემოთჩამოთვლილი საკითხების შემოწმების (კონტროლის) თაობაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მოცემული ნივთიერებების ჩამონადენების (ჩაშვების), ემისიებისა და დანაკარგების ეფექტური შემცირების, კერძოდ</li> <li>- მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ნივთიერებების ჩამონადენების, ემისიებისა და დანაკარგების (ნამწვის) შეჩერება ან აღმოფხვრა ამის განხორციელებისათვის შესაბამისი განრიგის ჩათვლით. აღნიშნული განრიგი არ უნდა აღემატებოდეს 20 წელიწადს ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ ამ წინადადებების მიღების შემდეგ,</li> </ul>				
------	--	--	--	--	--

16.7	<p>მოცემული მუხლის დებულებების შესაბამისად.</p> <p>ზემოაღნიშნულის განხორციელების შედეგად მან უნდა განსაზღვროს პროდუქციისა და წარმოების კონტროლის რენტაბელურობისა და თანაზომიერების ხარისხი და კომბინირება, როგორც წერტილოვანი ასევე დიფუზიური წყაროებისათვის და გაითვალისწინოს გაერთიანების ფარგლებში მიღებული სავალდებულო ემისიის მოცულობის შეზღუდვა წარმოების კონტროლისათვის. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაერთიანების დონეზე წარმოების კონტროლისათვის მისაღები ზომა დადგინდეს სექტორულ (სექტორ – სექტორ) საფუძველზე. როდესაც პროდუქციის კონტროლი მოიცავს 91/414/EC დირექტივისა და 98/8/EC დირექტივის საფუძველზე გაცემული ლიცენზიების შემოწმებას, შემოწმებები განხორციელდება აღნიშნული დირექტივების დებულებების შესაბამისად. თითოეული წინადადებაში კონტროლის თაობაზე უნდა დაკონკრეტებული იყოს კონტროლის შემოწმების, განახლებისა და ეფექტურობის შეფასების ზომები.</p> <p>კომისიამ უნდა წარადგინოს წინადადებები ზედაპირულ წყალში,</p>					
------	---	--	--	--	--	--

16.8	<p>დანალექსა და ფლორასა და ფაუნაში პრიორიტეტული ნივთიერებების კონცენტრაციებისათვის გამოსაყენებელი (მისასადაგებელი) ხარისხის სტანდარტების თაობაზე.</p> <p>კომისიამ უნდა წარმოადგინოს წინადადებები მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად და წერტილოვანი წყაროებისათვის ემისიის კონტროლისა და გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტებისათვის არაუმეტეს ორი წლის განმავლობაში მოცემული ნივთიერებების პრიორიტეტული ნივთიერებების სიაში შეტანიდან. პრიორიტეტული ნივთიერებების პირველ სიაში შეტანილი ნივთიერებებისათვის, ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან ექვსი წლის შემდეგ გაერთიანების დონეზე შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტები ამ ნივთიერებებისათვის ყველა ზედაპირული წყლისათვის რომელზედაც ამ ნივთიერებების ჩამონაკადები (ჩაშვება) ახდენს ზეგავლენას და ამგვარი ჩამონაკადების ძირითადი წყაროების კონტროლისათვის, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად დაფუძნებული იქნება ყველა ტექნიკური შემცირების ვარიანტებთან დაკავშირებულ მოსაზრებებზე. პრიორიტეტული ნივთიერებების სიაში შესაბამისად</p>					
------	---	--	--	--	--	--

	<p>შეტანილი ნივთიერებებისათვის, გაერთიანების დონეზე შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამგვარი ზომა მათი სიაში შეტანიდან ხუთი წლის შემდეგ</p>				
16.9	<p>კომისიას შეუძლია მოამზადოს სტრატეგიები სხვა დამაბინძურებლების ან დამბინძურებელთა ჯგუფის მიერ წყლის დაბინძურების წინააღმდეგ, უბედური შემთხვევებით გამოწვეული ნებისმიერი დაბინძურების ჩათვლით.</p>				
16.10	<p>მე-6 და მე-7 პუნქტების მიხედვით თავისი წინადადებების მომზადებისას, კომისიამ ასევე უნდა განიხილოს IX დანართში მოცემული ყველა დირექტივა. მან უნდა წარმოადგინოს წინადადება მე-8 პუნქტში მოცემული ბოლო ვადისათვის, IX დანართში მოცემული ყველა კონტროლის შემოწმება იმ ნივთიერებებისათვის, რომლებიც შეტანილია პრიორიტეტული ნივთიერებების სიაში და უნდა შესთავაზოს შესაბამისი ზომები ყველა სხვა ნივთიერებისათვის IX დანართში მოცემული კონტროლის (შემოწმებების) შესაძლებელი გაუქმების თაობაზე.</p> <p>IX დანართში მოცემული ყველა კონტროლი, რომლის შემოწმებაც შემოთავაზებულია გაუქმდება ამშემოწმებების ძალაში შესვლის დღიდან.</p>				

16.11	<p>მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული ნივთიერებების პრიორიტეტული ნივთიერების კომისიის მიერ შემოთავაზებული სია მისი ევროპარლამენტის მიერ მიღების შემდეგ წარმოდგენილი იქნება ამ დირექტივის X დანართთან ერთად. მე-4 პუნქტში აღნიშნული მისი რევიზია (შემოწმება) იგივე პროცედურის მიხედვით განხორციელდება.</p>					
17.1	<p>ევროპარლამენტმა და საბჭომ უნდა მიიღონ კონკრეტული ზომები გრუნტის წყლის დაბინძურების აღკვეთისა და კონტროლისათვის. ამგვარი ზომები მიზნად უნდა ისახავდნენ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის (b) ქვეპუნქტის შესაბამისად გრუნტის წყლის კარგი ქიმიური სტატუსის მიღწევას და მიღებულნი უნდა იყვნენ ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან ორი წლის შემდეგ კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე, გაერთიანების დამფუძნებელი შეთანხმებით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>
17.2	<p>ზომების შემოთავაზებისას კომისიამ უნდა გაითვალისწინოს მე-5 მუხლისა და II დანართის შესაბამისად განხორციელებული ანალიზი. ამგვარი ზომები უფრო ადრეც უნდა იყოს</p>					

	შემთავაზებული შემდეგი მონაცემების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში:				
17.2.a	გრუნტის წყლის კარგი მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები, II დანართის 2.2. ნაწილისა და V დანართის 2.3.2. და 2.4.5 ნაწილებისა შესაბამისად;				
17.2.b	მნიშვნელოვანი და სტაბილური მზარდი ტენდენციების (მიმართულებების, ტრენდი) იდენტიფიკაციისა და ტენდენციების ცვალებადობის საწყისი მიზეზების განმსაზღვრელი კრიტერიუმები, რომლებიც V დანართის 2..4.4 ნაწილის შესაბამისად გამოიყენება				
17.3	პირველი პუნქტის გამოყენებიდან გამომდინარე ზომები შეტანილნი უნდა იყვნენ მე-11 მუხლით მოთხოვნილ ზომების პროგრამაში.				
17.4	გაერთიანების დონეზე მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების არ არსებობის შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ სათანადო კრიტერიუმები ამ დირექტივის ძალაში შესვლის შემდეგ არაუგვიანეს 5 წლის შემდეგ.				

17.5	ეროვნულ დონეზე მე-4 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომების უქონლობის შემთხვევაში, ტენდენციების ცვლილებისათვის ათვლის წერტილად აღებულ უნდა იქნას გრუნტის წყალთან დაკავშირებული გაერთიანების კანონმდებლობაში მოცემული ხარისხის სტანდარტების მაქსიმუმ 75 %.				
18.1	კომისიამ უნდა გამოაქვეყნოს ამ დირექტივის განხორციელებასთან დაკავშირებული ანგარიში, მოცემული დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 12 წლის შემდეგ და შემდგომ ყოველი 6 წელიწადში ერთხელ და უნდა წარუდგინოს იგი ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოს.				ას იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
18.2	ანგარიში უნდა მოიცავდეს :				
18.2.a	ამ დირექტივის განხორციელების მიმდინარეობის მიმოხილვას;				
18.2.b	გაერთიანების ზედაპირული და გრუნტის წყლის მდგომარეობის მიმოხილვას, განხორციელებულს ევროპის გარემოსდაცვით სააგენტოსთან შეთანხმებით.				
18.2.c	მე-15 მუხლის შესაბამისად წარდგენილი მდინარის აუზის მართვის გეგმების მიმოხილვას, მომავალი გეგმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მოსაზრებების ჩათვლით;				

18.2.d	<p>მე-12 მუხლის თანახმად წევრი სახელმწიფოების მიერ კომისიისადმი წარდგენილ ანგარიშებსა და რეკომენდაციებზე პასუხების მოკლე მიმოხილვას;</p>				
18.2.e	<p>მე-16 მუხლის შესაბამისად ჩამოყალიბებული ნებისმიერი შემოთავაზებებს, საკონტროლო ზომებისა და სტრატეგიების მოკლე მიმოხილვას;</p>				
18.2.f	<p>წინა განხორციელების შესახებ ანგარიშების თაობაზე ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ გაკეთებული კომენტარების მოკლე მიმოხილვას.</p>				
18.3	<p>კომისიამ ასევე უნდა გამოაქვეყნოს ანგარიში განხორციელების მიმდინარეობის პროგრესის (მიმდინარეობის) შესახებ, რომელიც დაეფუძნება მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წევრი სახელმწიფოების მიერ წარდგენილ ანგარიშებს და ისინი წარუდგენენ მათ ევროპარლამენტსა და წევრ სახელმწიფოებს, მე-5 და მე-8 მუხლებში მოცემული თარიღიდან არაუგვიანეს 2 წლის შემდეგ.</p>				
18.4	<p>კომისიამ, პირველი პუნქტის შესაბამისად, თითოეული ანგარიშის გამოქვეყნებიდან სამი წლის განმავლობაში უნდა</p>				

18.5	<p>გამოაქვეყნოს შუალედური (გარდამავალი) ანგარიში, რომელშიც აღწერილი იქნება განხორციელებისას მიღწეული პროგრესი წვერი სახელმწიფოების შუალედური ანგარიშების საფუძველზე, როგორც მე-15 მე-3 მუხლშია აღნიშნული. ყოველივე უნდა წარედგინოს ევროპარლამენტსა და საბჭოს.</p> <p>კომისიამ, ანგარიშგების პერიოდის შესაბამისად უნდა ჩაატაროს კონფერენცია, დაინტერესებული მხარეებისათვის, გაერთიანების წყლის პოლიტიკის თემაზე, რათა თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ გააკეთოს კომენტარები განხორციელების შესახებ კომისიის ანგარიშზე და გაუზიაროს თავისი გამოცდილება.</p> <p>მონაწილეთა შორის უნდა იყვნენ კომპეტენტური ორგანოების, ევროპარლამენტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარტნიორები სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში, მომხმარებელი ორგანოების წარმომადგენლები, აკადემიკოსები და სხვა ექსპერტები.</p>					
19.1	<p>წელიწადში ერთხელ, საინფორმაციო მიზნებისათვის, კომისიამ უნდა წარუდგინოს კომისიას, 21-ე მუხლის შესაბამისად, წყლის შესახებ კანობმდებლობაზე ზეგავლენის მქონე ზომების ინდიკატიური გეგმა, რომლის</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>

19.2	<p>შემოთავაზებასაც ის აპირებს უახლოეს მომავალში, შემოთავაზებიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხის, საკონტროლო ზომების და სტრატეგიების ჩათვლით, რომლებიც განსაზღვრულია მე-16 მუხლში. კომისიამ პირველი ასეთი სახის წარდგინება (პრეზენტაცია) უნდა გააკეთოს ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2 წლის შემდეგ.</p> <p>კომისიამ უნდა განიხილოს აღნიშნული დირექტივა მისი ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 19 წლის შემდეგ და წარმოადგინოს წინადადებები ნებისმიერი შესაძლებელი ცვლილებების შესახებ.</p>					
20.1	<p>I, III დანართების და V დანართის 1.3.6 ნაწილი შეიძლება ადაპტირდეს სამეცნიერო და ტექნიკურ პროგრესზე, მდინარის აუზის მართვის გეგმის განხილვისა და განახლების პერიოდების გათვალისწინებით, როგორც ეს მე-13 მუხლშია მითითებული. ის ზომები, რომლებიც შექმნილია ამ დირექტივის არა არსებითი ელემენტების შესაცვლელად, მიიღება რეგულირების წესის შესაბამისად, 21 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული შემოწმებით.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში, კომისიამ შეიძლება მიიღოს სახელმძღვანელო მითითებები II და V დანართების შესრულების შესახებ, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული</p>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

20.2	<p>მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.</p> <p>მონაცემთა გადაცემის და დამუშავების მიზნით, მათ შორის სტატისტიკური და კარტოგრაფიული მონაცემები, 1 პუნქტის მიზნებისათვის ტექნიკური ფორმატები შეიძლება მიღებულ იქნეს 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.</p>					
21.1	<p>კომისიას დახმარებას უწევს კომიტეტი.</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>
21.2	<p>როდესაც მითითებულია ამ პუნქტზე, გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების 5 და 7 მუხლები, მისი მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.</p> <p>1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება სამ თვეში.</p>					
21.3	<p>როდესაც ამ პუნქტზე მითითებულია, გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5a მუხლის პირველიდან - მე-4მდე პუნქტები და მე-7 მუხლი, მისი მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.</p>					

22.1	<p>ამ დირექტივის ძალაში შესვლიდან შვიდი წლის შემდეგ უქმდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 1975 წლის 16 ივნისის 75/440/EEC დირექტივა წევრ სახელმწიფოებში სასმელი წყლის აბსტრაგირებისათვის განკუთვნილი ზედაპირული წყლისათვის საჭირო ხარისხის შესახებ,</li> <li>- 1977 წლის 12 დეკემბრის 77/795/EEC საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც აყალიბებს საერთო პროცედურას გაერთიანებაში ზედაპირული მტკნარი წყლის ხარისხის შესახებ ინფორმაციის გაცვლისათვის,</li> <li>- 1979 წლის 9 ოქტომბრის საბჭოს დირექტივა 79/869/EEC - წევრ სახელმწიფოებში სასმელი წყლის აბსტრაგირებისათვის განკუთვნილი ზედაპირული წყლის გაზომვის მეთოდებისა და სინჯების აღებისა და ანალიზის სიხშირის შესახებ.</li> </ul>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>
22.2	<p>ამ დირექტივების ძალაში შესვლიდან 13 წლის შემდეგ გაუქმდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 1978 წლის 18 ივლისის საბჭოს დირექტივა 78/659/EEC მტკნარი წყლის, რომელიც საჭიროებს დაცვას ან</li> </ul>					

	<p>გაუმჯობესებას თევზების სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, ხარისხის შესახებ,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 1979 წლის 30 ოქტომბრის საბჭოს დირექტივა 79/923/EEC კიბოსებრთა (მოლუსკების) შემცველი წყლისათვის საჭირო ხარისხის შესახებ,</li> <li>- 1979 წლის 17 დეკემბრის საბჭოს დირექტივა 80/68/EEC ზოგიერთი მავნე ნივთიერებებით გამოწვეული დაბინძურებისაგან გრუნტის წყლის დაცვის შესახებ,</li> <li>- 76/464/EEC დირექტივა, მე-6 მუხლის გამოკლებით, რომელიც უნდა გაუქმდეს ამ დირექტივის ძალაში შესვლის შედეგად.</li> </ul> <p>22.3 76/464/EEC დირექტივისათვის გამოყენებული იქნება შემდეგი გარდამავალი დებულებები:</p> <p>22.3.a ამ დირექტივის მე-16 მუხლის შესაბამისად მიღებული პრიორიტეტული ნივთიერებების სია უნდა შეცვალოს ნივთიერებათა სია, რომლებიც პრიორიტეტულად არიან მიჩნეულნი საბჭოსადმი კომისიის 1982 წლის 22 ივნისის შეტყობინებაში;</p>				
--	---	--	--	--	--

22.3.b	76/464/EEC დირექტივის მე-7 მუხლის მიზნებისათვის, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ დაბინძურების პრობლემებისა და მისი გამომწვევი ნივთიერებების იდენტიფიკაციისათვის, ხარისხის სტანდარტების ჩამოყალიბებისა და ზომების მიღებისათვის ამ დირექტივაში მოცემული პრინციპები.				
22.4	მე-4 მუხლში მოცემული გარემოსდაცვითი მიზნები და IX დანართში ჩამოყალიბებული გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტები, მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად და წევრი სახელმწიფოების მიერ V დანართის საფუძველზე, რომელიც ეხება ნივთიერებებს, რომლებიც არ ექცევიან პრიორიტეტული ნივთიერებების სიაში და პრიორიტეტული ნივთიერებების შესახებ, რომლებისთვისაც ჯერ არ არის განსაზღვრული გაერთიანების სტანდარტები, მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მიჩნეულნი იქნებიან გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტებად 96/61/EC დირექტივის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-10 მუხლის მიზნებისათვის.				
22.5	იმ შემთხვევაში, როდესაც მე-16 მუხლის საფუძველზე მიღებული პრიორიტეტული ნივთიერებების სიაში მოცემული ნივთიერება არ არის შეტანილი ამ დირექტივის VIII დანართში ან 96/61/EC				

22.6	<p>დირექტივის III დანართში, ის უნდა იყოს დამატებული.</p> <p>ზედაპირული წყლის ობიექტებისათვის, ამ დირექტივით მოთხოვნილი მდინარის აუზის მართვის პირველი გეგმით დადგენილი გარემოსდაცვითმა მიზნებმა, როგორც მინიმუმ, უნდა იქონიონ გავლენა ხარისხის სტანდარტებზე და ისინი უნდა იყვნენ 76/464/EEC დირექტივის განხორციელებისათვის საჭირო სტანდარტებზე არანაკლებ მკაცრი.</p>					
23	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ ჯარიმები ამ დირექტივის შესაბამისად ჩამოყალიბებული ეროვნული დებულებების დარღვევებთან დაკავშირებით. შესაბამისად მიღებული სანქციები უნდა იყვნენ ეფექტური, თანაზომიერი და კატეგორიული ხასიათის.</p>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
24.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აამოქმედონ ამ დირექტივასთან შესაბამისობაში მოსვლისათვის საჭირო კანონები, რეგლამენტები და ადმინისტრაციული დებულებები, არაუგვიანეს 2003 წლის 22 დეკემბრისა. ღის შესახებაც მათ დაუყონებლივ უნდა აცნობონ კომისიას.</p> <p>როდესაც წევრი სახელმწიფო მიიღებს აღნიშნულ ზომებს, ისინი უნდა მოიცავდნენ მითითებას ამ დირექტივის შესახებ ან ეს მითითება უნდა თან ერთვისდეს ამ ზომებს მათი</p>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

24.2	<p>ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ამგვარი მითითებების გაკეთების მექანიზმი წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინონ კომისიას ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი დებულებების ტექსტები, რომლებიც მათ მიიღებს ამ დირექტივით რეგულირებად სფეროში. რის შესახებაც კომისიამ შემდგომ უნდა აცნობოს სხვა წევრ სახელმწიფოებს.</p>					
25	ეს დირექტივა ძალაში უნდა შევიდეს მისი გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
26	ეს დირექტივა განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
დანართი I 1	ამ დირექტივის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის მოწოდება როგორც მათი მდინარეთა აუზების რაიონების ფარგლებში მოქმედ ყველა კომპეტენტური ორგანოს, ასევე ნებისმიერი მდინარის აუზის საერთაშორისო რაიონის მათ ტერიტორიაზე მდებარე უბნის თაობაზე. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

(i)	კომპეტენტური ორგანოს დასახელებას და მისამართს - მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ორგანოს ოფიციალურ დასახელებას და მისამართს.				
(ii)	გეოგრაფიულ მონაცემებს მდინარის აუზის რაიონის თაობაზე - მდინარის აუზის რაიონის ფარგლებში გამდინარე ყველა მდინარის დასახელებას და მდინარის აუზის რაიონის საზღვრების ზუსტ აღწერას. აღნიშნული ინფორმაცია, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოსადეგი უნდა იყოს რომელიმე გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემაში (GIS), და/ან კომისიის გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემაში (GISCO) შესაყვანად.				
(iii)	ამ კომპეტენტური ორგანოს სამართლებრივ სტატუსს - კომპეტენტური ორგანოს სამართლებრივი სტატუსის აღწერას ან, აუცილებლობის შემთხვევაში, მისი დებულების ასლს ან მოკლე ანოტაციას, დამფუძნებელ ხელშეკრულებას ან სხვა ექვივალენტურ იურიდიულ დოკუმენტს.				
(iv)	ვალდებულებები - თითოეული კომპეტენტური ორგანოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ვალდებულებების აღწერას და ინფორმაციას მისი როლის შესახებ მდინარის აუზის თითოეული რაიონის ფარგლებში.				

(v)	ონაწილეობა - იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტური ორგანო მოქმედებს, როგორც სხვა კომპეტენტური ორგანოების მაკოორდინირებელი სტრუქტურა: დაქვემდებარებული ორგანოების აუცილებელ ჩამონათვალს, ამგვარი კოორდინაციის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბებული ინსტიტუციონალური ურთიერთობების მოკლე აღწერით.					
(vi)	საერთაშორისო ურთიერთობები - იმ შემთხვევაში, როდესაც მდინარის აუზის რაიონი მოიცავს გაერთიანების ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოს ან ვრცელდება არაწევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, კოორდინაციის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბებული ინსტიტუციონალური ურთიერთობების მოკლე აღწერას.					
დანართი II 1.1	წევრი სახელმწიფოები დაადგენენ წყლის ობიექტების განლაგების ადგილებს და მათ საზღვრებს და მოახდენენ მათ წინასწარ კლასიფიკაციას ქვემოთმოყვანილი მეთოდიკის შესაბამისად. წინასწარი კლასიფიკაციის მიზნით წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ წყლის ობიექტების გაერთიანება ტიპიურ ჯგუფებად.	N1	9.1	წყლის ობიექტები წარმოადგენენ წყლის რესურსების მართვის საბაზო ერთეულებს, რომელთა იდენტიფიკაციას და საზღვრების დადგენას, აგრეთვე მდინარის აუზის/სააუზო უბნის მახასიათებელთა ანალიზს ახორციელებს სამინისტრო.	ნშ	შემუშავებულია სამი სააუზო მართვის გეგმის სამუშაო ვერსია. მიღებული იქნება მთავრობის დადგენილებით კანონის მიღების შემდგომ.
დანართი II 1.1.i	მდინარის აუზის ფარგლებში არსებული ზედაპირული წყლის ობიექტები უნდა განეკუთვნოს ზედაპირული წყლების ქვემოთმოყვანილი კატეგორიებიდან ერთერთს: მდინარეები, ტბები,	N1	23.2	მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმებს, სამინისტროს წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.	ნშ	შემუშავებულია სამი სააუზო მართვის გეგმის სამუშაო ვერსია. მიღებული

	გარდამავალი ან სანაპირო წყლები, ხელოვნური ან ძლიერ შეცვლილი ზედაპირული წყლის ობიექტები.					იქნება მთავრობის დადგენილებით კანონის მიღების შემდგომ.
დანართი II 1.1.ii	ზედაპირული წყლების თითოეული ობიექტი უნდა დიფერენცირებული იყოს მისი ტიპის შესაბამისად. ტიპების დადგენა ხდება „A სისტემის“ ან „B სისტემის“ შესაბამისად, როგორც ეს მითითებულია 1.2 ნაწილში.	N1	24.2	<p>მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:</p> <p>ა) მდინარის აუზის/სააუზო უბნის ინტეგრირებული მართვის სააუზო ტერიტორიული ერთეულის მახასიათებლების ანალიზი;</p> <p>ბ) ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის ობიექტების სტატუსზე მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ზეწოლისა და ზემოქმედების აღწერა; მათ შორის: წერტილოვანი წყაროებიდან დაბინძურების შეფასება, დიფუზური წყაროებიდან დაბინძურების შეფასება, მიწათსარგებლობის სქემის მოკლე აღწერის ჩათვლით, წყლის რაოდენობრივ სტატუსზე ზეწოლის შეფასება, წყალღების შეფასების ჩათვლით, ადამიანის საქმიანობის სხვა ზემოქმედების ანალიზი წყლის სტატუსზე;</p> <p>გ) წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების ზონების ჩამონათვალი და რისკების მართვის პროგრამა;</p> <p>დ) დაცული ზონების საზღვრების ამსახველი რუკა;</p> <p>ე) ეკოლოგიური სტატუსების დადგენის მიზნით შემუშავებული მონიტორინგის ქსელის რუკა, რომელიც ასევე უნდა ასახავდეს იმ მონიტორინგის</p>	ნშ	შემუშავებულია სამი სააუზო მართვის გეგმის სამუშაო ვერსია. მიღებული იქნება მთავრობის დადგენილებით კანონის მიღების შემდგომ.

			<p>პროგრამების შედეგებს, რომელთა მიხედვითაც მოხდა სტატუსების დადგენა;</p> <p>ვ) ზედაპირული, მიწისქვეშა და დაცულ ზონებზე არსებული წყლის ობიექტებისათვის დადგენილი გარემოსდაცვითი მიზნების ჩამონათვალი, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი მიზნების დადგენის გამონაკლისების დაშვების შემთხვევებს და მასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას;</p> <p>ზ) წყალსარგებლობის ეკონომიკური ანალიზის მოკლე მიმოხილვა;</p> <p>თ) გარემოსდაცვით მიზნების მიღწევის მიზნით დადგენილი ღონისძიებათა პროგრამის მიმოხილვა;</p> <p>ი) მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში შემუშავებული იმ სხვა პროგრამებისა და მართვის გეგმების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა, რომელთაც აქვთ გავლენა ან შესაძლოა ქონდეთ გავლენა სააუზო ტერიტორიულ ერთეულში არსებულ წყლის ობიექტზე;</p> <p>კ) ინფორმაცია მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შემუშავების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შესახებ და მათი შედეგების გეგმაში ასახვის შესახებ;</p> <p>ლ) ინფორმაცია მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის ორგანოს და მისი ადგილობრივი წარმომადგენლობის</p>		
--	--	--	--	--	--

				შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ და საბაზისო დოკუმენტებისა და ამ დოკუმენტების გამოთხოვის პროცედურა.		
დანართ ი II 1.1.iii	სისტემის გამოყენებისას მდინარის აუზის ფარგლებში არსებულ ზედაპირული წყლის ობიექტებს ერთმანეთისგან განასხვავებენ გეოგრაფიული ზონების შესაბამისი ეკორეგიონების მიხედვით. გეოგრაფიული ზონების განმარტებები მოყვანილია 1.2 ნაწილში და ნაჩვენებია XI დანართის რუკაზე. შემდგომში ხდება თითოეული ეკორეგიონის ფარგლებში მოქცეული წყლის ობიექტების დაყოფა ტიპების მიხედვით A სისტემის შესაბამის ცხრილში მოყვანილი მახასიათებლების შესაბამისად.	N1	24.3	მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის განხორციელების მოქმედებათა/ღონისძიებათა პროგრამა, რომლითაც უნდა განისაზღვროს გეგმის განხორციელების ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ასპექტები. მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის ცალკეული ელემენტების შემუშავების მეთოდოლოგიები მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.	ნშ	შემუშავებულია სამი სააუზო მართვის გეგმის სამუშაო ვერსია. მიღებული იქნება მთავრობის დადგენილებით 2023 წლის 31 დეკემბრამდე, კანონის მიღების შემდგომ.
1.1.iv	B სისტემის გამოყენებისას წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიაღწიონ დიფერენციაციის ისეთ ხარისხს მაინც, რომლიც მიიღწევა A სისტემის გამოყენებისას. ამდენად, აუცილებელია მდინარის აუზის რაიონის ფარგლებში მდებარე წყლის ობიექტების დიფერენციაცია ტიპების მიხედვით სავალდებულო მახასიათებლების ან იმ არასავალდებულო მახასიათებლების ან მათი შეხამების შედეგად მიღებული მაჩვენებლების გამოყენებით, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული ტიპიური ბიოლოგიური მაკონტროლებელი პირობების განსაზღვრისათვის.	N1	37.1.ა.	1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:  ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე: ა.დ) „სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“;		

1.1.v	ხელოვნური ან ძლიერ შეცვლილი ზედაპირული წყლების ობიექტების დიფერენციაცია უნდა განხორციელდეს იმ ზედაპირული წყლების ნებისმიერი კატეგორიისათვის გამოყენებული მახასიათებლების შესაბამისად, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ხელოვნურ ან ძლიერ შეცვლილ წყლის ზედაპირულ ობიექტებთან.										
1.1.vi	წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა წარუდგინონ ფორმატში შესრულებული რუკა ამ რუკები (GIS-ის ფორმატში), რომელშიც მითითებული იქნება ტიპური წყლის ობიექტების გეოგრაფიული მდებარეობა, დიფერენცირებული სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად.										
1.2	ეკორეგიონები და ზედაპირული წყლების ობიექტების ტიპები										
1.2.1	მდინარეები										
სისტემა A	<table border="1"> <tr> <td data-bbox="254 1149 394 1305">მუდმივი ტიპოლოგია</td> <td data-bbox="394 1149 848 1305">დახასიათება</td> </tr> <tr> <td data-bbox="254 1305 394 1422">ეკორეგიონი</td> <td data-bbox="394 1305 848 1422">ეკორეგიონები, რომლებიც აღნიშნულია A რუკაზე, XI დანართში</td> </tr> <tr> <td data-bbox="254 1422 394 1463">ტიპი</td> <td data-bbox="394 1422 848 1463">სიმაღლის ტიპოლოგია</td> </tr> </table>	მუდმივი ტიპოლოგია	დახასიათება	ეკორეგიონი	ეკორეგიონები, რომლებიც აღნიშნულია A რუკაზე, XI დანართში	ტიპი	სიმაღლის ტიპოლოგია				
მუდმივი ტიპოლოგია	დახასიათება										
ეკორეგიონი	ეკორეგიონები, რომლებიც აღნიშნულია A რუკაზე, XI დანართში										
ტიპი	სიმაღლის ტიპოლოგია										

სისტემა B	<p>მაღლობი: &gt; 800 მ საშუალო სიმაღლე: 200დან – 800მდე მ დაბლობი: &lt; 200 მ</p> <p>ზომათა ტიპოლოგია წყალშემკრები ტერიტორიის საფუძველზე: მცირე: 10დან – 100მდე კმ<sup>2</sup> საშუალო: &gt;100დან – 1000მდე კმ<sup>2</sup> დიდი: &gt; 1000დან – 10000მდე კმ<sup>2</sup> ძალიან დიდი: &gt; 10000 კმ<sup>2</sup></p> <p>გეოლოგია: კირიანი კაჟიანი ორგანული</p>					
	ალტერნატიული დახასიათება	<p>ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მდინარის ან მისი ნაწილის მახასიათებლებს და, შესაბამისად, განსაზღვრავენ ბიოლოგიური პოპულაციის სტრუქტურასა და შემადგენლობას</p>				
	აუცილებელი	<p>სიმაღლე სიგანე სიგრძე გეოლოგია</p>				

